სპორტიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 5 ივლისი 2006 №152 (2774) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიმარჯვა უფრო ფეხბურთმა

AFP დორტმუნდიდან



AFP დორტმუნდიდან

მარჩელო ლიპი ფინალში დორტმუნდიალით გავიდა

გუშინ იტალია იტალია იყო

გროსომ გერმანია გროსმაისტერული გოლით მოკლა

AFP დორტმუნდიდან

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

ნახევარფინალი

სკუადრა აძურას გოლერეა

AFP დორტმუნდიდან

ყველაფერი მაღალი ხარისხის. არა, ყველაფერი ძალიან მაღალი ხარისხის

ეს იყო დიდი ნახევარფინალი, მატჩი, რომელიც ათწლეულობით შემორჩება მეხსიერებას. ეს იყო სწორედ ის, რასაც ხალხი სანაკრებო ფეხბურთისგან ელის. კარგია ჩემპიონთა ლიგა, უეფას თასი, საკონტინენტთაშორისო თასი, ეჭვი არ გვეპარება, რომ თუ G 14-ს ევროლიგის პროექტი გამოუვიდა, ისიც კარგი იქნება, მაგრამ სანაკრებო ფეხბურთი მაინც სხვაა, სხვა გაქანებაა, სხვა მასშტაბია და თუ ამაში დარწმუნებული არ ბრძანდებით, კიდევ ერთხელ ნახეთ გერმანიისა და იტალიის წუხანდელი ნახევარფინალური მატჩი. ახლა, ცხელ გულზე ისე გვგონია, რომ ამ ოსტატობის ხილვად ნამდვილად ღირდა წინა 60 შეხვედრის მარშრუტით აქეთკენ სვლა.

რანაირი ფეხბურთის მოყვარული ბრძანდებით, საზიფათო მომენტების სწრაფი მონაცვლეობა გიყვართ? მაშ, გისიამოვნიათ. მომენტების სწრაფი მონაცვლეობა ამ თამაშში, უფრო კი მის დამატებით დროში, იცოცხლეთ, უხვად იყო. იქნებ ტაქტიკური ფეხბურთი გზიბლავთ, მწვრთნელთა ინტელექტუალური ბრძოლის პროცესს ადევნებთ გატაცებით თვალს? ამ შემთხვევაშიც გამოდის, რომ გისიამოვნიათ — პირველივე წუთიდან საინტერესო იყო იმ ტაქტიკური გეგმის დანახვა, მეტოქეებმა, განსაკუთრებით კი, რასაკვირველია, იტალიელებმა რომ შესთავაზეს მოწინააღმდეგეს. და ბარემ აქვე შემოგთავაზებთ ერთ თემას: ხომ არ გეჩვენებათ, რომ „სკუადრა აძურამ“ ამ ჩემპიონატზე თამაშის ტაქტიკურ ნაირსახეობათა მთელი გალერეა შემოგვთავაზა? გვესმის, რომ ამაზე საუბარი სხვა წერილში იქნება უპრიანი, მაგრამ აქ, ნება მოგვეცით, გაკვრით ვთქვათ — იტალიელებმა კლასიკური კატენაჩოთი დაწყებული, წუხანდელით დასრულებული, ჯერჯერობით ნათამაშევ ექვს შეხვედრაში ყველაფერი შეასრულეს.

ემოციები გიყვართ? სეირი? არც ამ შემთხვევაში დარჩებოდით გულნაკლული, პირველ ნახევარფინალურ შეხვედრაში ყველაფერი იყო და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ყველაფერი მაღალი ხარისხისა გახლდათ. არა, ყველაფერი ძალიან მაღალი ხარისხისა იყო.

და, გერმანელთა პატრიოტული განცდების, მათი მასპინძლური ჟინის თუ გერმანული ფეხბურთის დიდი პატივისცემის მიუხედავად, პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ამ დღეს იტალიამ უკეთ ითამაშა.

ღვთის მადლით, ფიფას საინტერნეტო საიტი მთელი შეხვედრის განმავლობაში იძლეოდა სტატისტიკური სურათის გაცნობის საშუალებას და ტაიმების მიხედვით ძირითადი მაჩვენებლები თქვენთვისაც ამოვიწერეთ: პირველი ნახევრის მერე, მაგალითად, იტალიელებს კარში სამჯერ ჰქონდათ დარტყმული, გერმანელებს — არცერთხელ. ზუსტად ჰლუს უზუსტოდ კარის მიმართულებით დარტყმებშიც იტალიელები სჯობდნენ: 5:3. კუთხურებში 5:1 იყო, ოფსაიდებში 5:0 ისევ „სკუადრა აძურას“ სასარგებლოთ და ბურთის ფლობაშიც 58:42-ს ისინი იგებდნენ.

და ზოგადი სურათი არც მეორე ტაიმში შეცვლილა მაინცდამაინც. ერთი ეგ არის, გერმანელებმა კარისკენ უზუსტოდ დარტყმებში აჯობეს მეტოქეს და ამით დარტყმათა საერთო ოდენობა ათამდე გაზარდეს. თვალსაჩინო გახლდათ ოფსაიდების რაოდენობა: იტალია თამაშს გარეთ 11-ჯერ ჩარჩა, ხოლო გერმანია ერთხელ.

დამატებითი დროის ჩათვლით მატჩის საბოლოო სტატისტიკა კი კიდევ უფრო ადასტურებდა იტალიელთა უპირატესობას. თუნდაც ის რად ღირს, რომ კარში სწორად დარტყმები 10:2 გამოდგა მათ სასარგებლოდ.

მაგრამ, მოდი, სტატისტიკით ნუღა გადავიტვირთებით, ვინაიდან მართალი იქნება ის, ვინც იტყვის, რომ რაგინდარა მაჩვენებლებს „აქეთა კარში“ ერთი გოლი თავიდან ბოლომდე ყირაზე დააყენებს, მაგრამ წუხელ „აქეთა კარში“ გოლის გატანა გერმანიის ნაკრებს არ ეწერა. გოლები იქით გავიდა, სადაც მთელი მატჩის განმავლობაში უფრო სწორად და მეტს არტყამდნენ.

თუნდაც ის ეპიზოდი რად ღირს, დამატებითი დროის პირველ წუთებზე იტალიამ მცირე ინტერვალით ორჯერ რომ მოარტყა ბურთი ძელს. ჯერ იყო და, ალბერტო ჯილარდინომ ითამაშა ახლო ძელთან საუცხოოდ და მისდა საბედნიეროდ ძელსვე დაუმიზნა ბურთი, შემდეგ კი ჯანლუკა ძამბროტას დარტყმა მოხვდა ხარიხას.

ამის პასუხად ჰოდოლსკის შეეძლო თავით შეგდება, მაგრამ მარჯვნიდან ჩაწოდებულ ბურთს ჩინებულ მდგომარეობაში მყოფმა ცუდი გეზი მისცა.

შემდეგ იყო ალესანდრო დელ პიეროს მომენტი: გეხსომებათ, უშუალოდ მეკარის წინ რომ „იბუქსავა“ და კარში ვერ დაარტყა, ამას კი ჰოდოლსკის დარტყმა და ჯანლუიჯი ბუფონის ჩვეულად ჩინებული თამაში მოჰყვა.

და ბოლოს, 119-ე და 120-ე წუთებზე იყო ორი დახვეწილი გოლი: ანდრეა პირლოს მახვილგონიერულად გადაწოდებულ ბურთს ფაბიო გროსომ გამოყვანილი ტრაექტორიით იენს ლემანის კარში მიუჩინა ადგილი, ერთ წუთში კი დიდებულმა ფაბიო კანავარომ გერმანელთა იერიში ჩაჭრა, იტალიამ ბურთი სწრაფი კონტრშეტევით წაიღო და კომბინაციის ბოლო ფაზაში ჯილარდინომ დელ პიეროს მიაწოდა ბურთი, ლემანთან პირისპირ შესულმა პინტურიჩომ კი გროსოსებრ დახატა ბურთის ტრაექტორია...

და როგორც ირკვევა, წერილის ბოლოს თქვენთვის ბოდიში გვაქვს მოსახდელი, რამეთუ კალამმა ძირითადად დამატებითი დროის აღწერისკენ გვიბიძგა, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, რაგინდარა ქომაგს გული უპირველეს ყოვლისა ბოლო 30 წუთისკენ უბიძგებდა და ჩვენც უნებლიეთ ასე ვარჩიეთ.

პაპუნა კედია

AFP დორტმუნდიდან

გერმანია 0:2დ.დ.(0:0) იტალია

№61. 4 ივლისი. 23.00. დორტმუნდი. „ვესტფალენშტადიონი“. 65 000 მაყურებელი

0:1 გროსო (119), 0:2 დელ პიერო (120)

შეცვლა: ბოროვსკი – 7. შვაინშტაიგერი (73), ტონი – 11. ჯილარდინო (74), შნაიდერი – 22. ოდონკორი (83), კამორანეზი – 15. იაკინტა (91), პეროტა – 7. დელ პიერო (104), კლოზე – 10. ნოვილი (111)

გაფრთხილება: ბოროვსკი (40), მეცელდერი (56), კამორანეზი (90)

მსაჯები: ბენიტო არჩუნდია; ხოსე რამირესი (მექსიკა), ექტორ ვერგარა (კანადა)

21	ჯარიმა	19
4	კუთხური	12
13	კარისკენ დარტყმა	15
2	კარში დარტყმა	10
2	თამაშგარე	11
43	ბურთის ფლობა პროცენტულად	57



AFP

ზიკოს ჩაი, ფაჰლავა და კონტრაქტი გაუმზადეს

თურქული „ფენერბაჰჩეს“ განცხადებით, ამიერიდან ორი წლის განმავლობაში გუნდს ლეგენდარული ბრაზილიელი ფეხბურთელი, იაპონიის ნაკრების გადამდგარი თავკაცი ზიკო გაწვრთნის.

53 წლის ზიკო სტამბოლში დღეს უნდა ჩაფრინდეს და კონტრაქტზე ხელის მოწერის ოფიციალური ნაწილიც შედგება, ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ზიკო ფეხბურთელებს გაეცნობა.

კონტრაქტის ფინანსური მხარე უცნობია.

მოგეხსენებათ, ზიკომ იაპონიის ნაკრების მწვრთნელის თანამდებობა ერთი კვირის წინ დატოვა, როდესაც ამომავალი მზის ქვეყანას პირობა ვერ შეუსრულა — ბრაზილიელი იაპონელებს მსოფლიოს ჩემპიონატზე ისტორიულ შედეგს პირდებოდა, მაგრამ გუნდმა ჯგუფური ეტაპი ვერ გადალახა.

აღსანიშნავია, რომ ზიკოს სამწვრთნელო კარიერაში მხოლოდ იაპონიის ნაკრებთან უმუშავია. ამ ქვეყანაში მას ჯამში 15 წელიწადი აქვს გატარებული.

„ფენერბაჰჩეში“ ბრაზილიელი შეცვლის გერმანელ კრისტოფ დაუმს, რომლის ხელმძღვანელობითაც „ფენერმა“ თურქეთის ჩემპიონის ტიტული ვერ მოიგო — ჩემპიონი „გალათასარაი“ გახდა.

პაპუნა კვედია

საქართველოს ტელეკომი

TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო
და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან
მაგთიზე და ჯეოსელზე **25** თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)

საქართველოს რეგიონებში **12** თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)

დროის
წამობრივი
აღრიცხვა

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

ნუ გამოტოვებთ გაღამწყვეტ გოლს!

სიახლე! ჯეოსელისა



და ღაი-ღაის აბონენტთათვის.

GEO ჯეო

გოლი

გააგზავნეთ SMS-ი ნომერზე 2006
და გამოიწერეთ ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის განმავლობაში
სრული ინფორმაცია ყველა მატჩისა და გატანილი გოლის შესახებ.

ფასი: 5 ლარი

აღნიშნული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ აქტიურ ნომრებზე.

ან ეწვიეთ Geogoli-ს wap.geocell.com.ge-ზე
და გადმოწერეთ:
ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ცხრილი,
მატჩების ანგარიშები,
ფეხბურთელების ფერადი სურათები,
გატანილი გოლების ვიდეო რგოლები,
ქვეყნის ჰიმნები.

ყველა, ვინც კი კარგ გოლს ელის ეთაგულია ჯეოსელის

FIFA WORLD CUP
GERMANY
2006

www.geocell.ge

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვას წარმოგიდგენთ
სლოტ პოკერ კლუბი VEGA

ნახევარფინალი. დღეს

პორტუგალია — საფრანგეთი

მიუნხენი. „ალიანს არენა". 23.00. მსაჯი: ხორხე ლარიონდა (ურუგვაი)

მწვრთნელი რამეს მოიფიქრებს

რა იქნება ზიდანისთვის პორტუგალია: ბოლო თუ სოლო?

1. რიკარდუ პერეირა (30) — ინგლისის ნაკრების დამსამარებელი. პენალტების მოგერიებაში უბადლოა და თერთმეტი მეტრიდან გატანაც შეუძლია.

13. ლუიშ მიგელი (26) — ერთ-ერთი საუკეთესო მარჯვენა მცველი ამ ჩემპიონატზე.

5. ფერნანდუ მეირა (28) — თავით კარგად თამაში ეხერხება და მუდამ სახიფათოა კუთხურებისა თუ ჯარიმებისას.

16. რიკარდუ კარვალიუ (28) — სწრაფი და საიმედო ცენტრალური მცველი.

14. ნუნუ ვალენტე (25) — ერთ-ერთი მთავარი ფეხბურთელი იყო ჩემპიონთა ლიგის მომგებ „პორტუში". ნაკრებში ცოტა ხნით ადგილი დაკარგა, მაგრამ შარშან „ევერტონში" გადავიდა და კვლავ ფორმაშია.

6. ფრანსისკო კოშტინია (32) — სოლიდური ჩაცმულობის გამო თანაგუნდელებმა „მინისტრი" შეარქვეს.

18. მანიშე რიბეირუ (28) — საუცხოო ნახევარმცველი. უძლიერესი დარტყმის პატრონი, რომელსაც საგოლე პასები ეხერხება.

20. დეკუ სოუზა (28) — ფუტკარივით მუშა ნახევარმცველი. თავის საქმეს ფრიადზე ასრულებს. ბრაზილიაშია დაბადებული და ოთხი ნლის ნინ მიიღო პორტუგალიური პასპორტი.

7. ლუიშ ფიგუ (33) — საფრანგეთთან მატჩი მისთვის 125-ე იქნება. ევრო 2004-ის შემდეგ ნაკრებიდან წასვლა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა.

17. კრიშტიანუ რონალდუ (21) — სწრაფი და ტექნიკური ნახევარმცველი, რომელსაც ორივე ფლანგზე შეუძლია თამაში. 36 სანაკრებო მატჩში 12 გოლი მოაგროვა.

9. პედრუ პაულეტა (33) — მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში 11 გაიტანა, მაგრამ გერმანიაში, რატომღაც ფეხი გაუმრუდდა და ვეღარ გააქვს.

პორტუგალიელები თავიანთ ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩისთვის განსაკუთრებულად ემზადებიან. ლუზიტანები მუნდიალის ფინალში არასოდეს ყოფილან და ახლა ამასთან ძალიან ახლოს არიან. მათ არც ის აშინებთ, რომ უხერხული მეტოქე ეყოლებათ — ამ ნაკრებების წინა ოთხი შეხვედრიდან, საბოლოოდ ოთხივეში გამარჯვებული ფრანგები გამოვიდნენ.

ასეთი ძლიერი ნაკრები ლუზიტანებს 1966 წლის მერე არ ჰყოლიათ. მაშინ, ეუსებიოს დროინდელი გუნდი ინგლისის მუნდიალზე მეოთხე ადგილზე გავიდა. ახლა კი ამ შედეგის გაუმჯობესების რეალური შანსი აქვთ და პორტუგალიაშიც დიდი აჟიოტაჟია ატეხილი. ქომაგებს ლუიშ ფელიპე სკოლარისა და მისი შეგირდების ეიმედებათ. მას შემდეგ, რაც ორი წლის წინ იმედგაცრუებულნი დარჩნენ, როცა პორტუგალიამ საკუთარ კედლებში წააგო ევროპის ჩემპიონატის ფინალი საბერძნეთთან, გულშემატკივრები მსოფლიოს ჩემპიონატის ტრიუმფით დასრულებას ითხოვენ.

„ფინალში გასვლა და მოგება გვინდა. განწყობა ძალიან საბრძოლოა და მჯერა, გამარჯვებას შევძლებთ. ორი წლის წინანდელი იმედგაცრუება ყველასთვის დიდი დარტყმა იყო, ეს არ უნდა განმეორდეს. გულშემატკივრებს ჩვენი სჯერათ და არ გვაქვს უფლება, ისინი გავაწბილოთ. მეტოქე ძალიან ძლიერია და საფრანგეთს დიდ პატივს ვცემთ, მაგრამ მიზნის მიღწევა შეგვიძლია. აქამდე მოსაგებად ვთამაშობდით და ასე იქნება ახლაც. თითოეულმა ჩვენგანმა მინდორზე ყველაფერი უნდა გაიღოს." — თქვა "ვალენსიასა" და პორტუგალიის ნაკრების მარჯვენა მცველმა მიგელმა, რომელიც თავის პოზიციაზე ერთ-ერთი საუკეთესოა მიმდინარე მუნდიალზე.

„ზიდანი ზიდანია! იგი თანამედროვეობის საუკეთესო ფეხბურთელია და ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცა. მისი შეხება ბურთთან, ყველასაგან განსხვავებულია. თუმცა იმედი მაქვს, რომ ჩვენთან სათანადოდ ვერ გაიჯვება. როდესაც ზიდანი ფორმაშია, არ ვიცი, როგორ უნდა შეაჩერო, მაგრამ ჩვენი მწვრთნელი მოიფიქრებს რამეს. ასევე მნიშვნელოვანია, ყურადღება მხოლოდ მასზე არ გადავიტანოთ, ეს დამღუპველი იქნება. ფრანგებს ბევრი ვარსკვლავი ჰყავთ" — დასძინა მიგელმა.

ლუიშ ფელიპე სკოლარი ის კაცია, ვინც 2002 წელს ბრაზილიასთან ერთად ყველა მატჩი მოიგო და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ორი წლის მერე პორტუგალიას კინაღამ ევროპის ჩემპიონატი მოაგებინა და მიმდინარე მუნდიალზეც წაუგებლად მიდის. „დიდი ფილი", გნებავთ „ფელიპაო" დაუძახეთ, მიღწეულით არასოდეს კმაყოფილდება და შეჩერებას ახლაც არ აპირებს.

„ჩვენ მოგვეცა შანსი, 2004 წელს ისტორია შეგვექმნა, მაგრამ ვერ შევძელით. ახლა ამის გამოსწორების საშუალება გვაქვს და უფრო დიდი, მუნდიალის ისტორია უნდა შევქმნათ, რომელიც პორტუგალიურ ფეხბურთს დაამშვენებს. ეს ახალი ნაკრებია, რომელსაც საოცრად მებრძოლი სული აქვს. აქამდე სწორედ ეს გვაკლდა. ტექნიკურად და გააზრებულად თამაში არასოდეს გვეშლებოდა, მაგრამ საბრძოლო განწყობა სათანადო არ იყო, როგორიც ამჟამად არის" — აღნიშნა ბრაზილიელმა.

აქვე ვთქვათ, რომ სკოლარის, ალბათ, პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაცია კონტრაქტს გაუხანგრძლივებს. პრესა ახლახან იუწყებოდა, რომ ეს მალე მოხდება, „დიდი ფილი" ნაკრებში 2008 წლამდე დარჩება და წელიწადში 1,5 მილიონ ევროს მიიღებს.

„კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა. თუმცა სკოლარის უკვე ვესაუბრე და ახალ ამბავს მუნდიალის დასრულებამდე პირველები თქვენ გაიგებთ" — განუცხადა პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჟილბერტო მადაილმა ჟურნალისტებს.

„ზიდანი ასე ლაღად იმიტომ გამოიყურება, რომ კარიერას ასრულებს და მხოლოდ თამაშზეა კონცენტრირებული. მან იცის, რომ ნებისმიერი მატჩი შესაძლოა, ბოლო გამოდგეს და ამიტომ ორმაგად თავისუფლად ირჯება. მისი და მთლიანად ნაკრების შემართებით, გამარჯვება უნდა შევძლოთ, თუმცა მეტოქე ძალიან ძლიერია" — თქვა „მამლების" თავკაცმა რაიმონ დომენეკმა.

„მთავარია, ფინალში გავიდეთ. მივიღებ თუ არა მეორე ყვითელ ბარათს, ეს მეორეხარისხოვანია. თავიდან ბევრი გვაკრიტიკებდა და ბრაზილიასთანაც ჩვენ მოგებას ცოტა თუ ელოდა. ახლა კი უკვე ფინალში გაგვიყვანეს და ლამის ჩემპიონატიც მოგვაგებინეს. არადა, წინ მძიმე ბრძოლაა. პორტუგალია ჩვენს დარად დაცვაში ძლიერია და მთლიანად დაბალანსებული გუნდია. ასე რომ, ეს უფრო რთული მატჩი იქნება, ვიდრე ბრაზილიასთან იყო. თუმცა ასე შორს იმისთვის არ წავსულვართ, რომ ნახევარფინალში დავმარცხდეთ" — განაცხადა ტურამმა, რომელსაც ეროვნულ ნაკრებში 119 შეხვედრა აქვს ჩატარებული და ამ მხრივ პირველია.

ლურჯთა ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი, 23 წლის ფრანკ რიბერიც ბრძოლისთვის მზადაა. მას ბევრი აკრიტიკებდა, მაგრამ ექსცენტრულ ნახევარმცველს დომენეკი ბოლომდე ენდობა და იგი ბოლო მატჩებში მართლაც ძალიან სასარგებლოდ ირჯებოდა.

გიორგი კაკაბაძე



16. ფაბიენ ბარტეზი (35) — შარშან ხუთთვიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა მსაჯისკენ გადაფურთხებისთვის, მაგრამ ფორმა მაინც შეინარჩუნა და დომენეკმა პირველმეკარეობა უბოძა.

19. ვილი სანიოლი (29) — კარიერის დასაწყისში ფორვარდი იყო, მერე მცველად „აქციეს" და ამიტომაც მიუწევს გული შეტევისკენ. მთელ ფლანგს აკონტროლებს.

15. ლილიან ტურამი (34) — მეტსახელად „პროფესორი". ევრო 2004-ში მეოთხედფინალში დამარცხების შემდეგ ნაკრებიდან წავიდა, მაგრამ მერე დასახმარებლად დაბრუნდა.

5. უილიამ გალასი (26) — 37 სანაკრებო მატჩი უმაგრებს ზურგს და გუნდის დაცვაში ერთ-ერთი უმთავრესი ფიგურაა.

3. ერიკ აბიდალი (26) — რაიმონ დომენეკის „აღზრდილი". დებიუტი 2004-ის ივლისში ჰქონდა და მას მერე დაცვის მარცხენა ფლანგი გაითავისა.

4. პატრიკ ვიეირა (30) — მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველი, ვისაც დაცვაც შეუძლია, შეტევაც, საგოლე პასებიც და გოლების გატანა.

6. კლოდ მაკელელე (33) — ვიეირასთან ერთად „ამსხვრევს" მეტოქის შეტევებს. შარშან აგვისტოში დაუბრუნდა ნაკრებს და ირლანდიასთან სტუმრად მოგებულ შეხვედრაში ლომის წილი შეიტანა.

22. ფრანკ რიბერი (23) — საფრანგეთის ჩემპიონატის (2004-2005) საუკეთესო ფეხბურთელი. მისგან ზიდანობას ელიან.

10. ზინედინ ზიდანი (34).

7. ფლორენ მალუდა (26) — შემტევი მარცხენაფლანგელი. მეტოქის მცველების შეწუხებაც კარგად ეხერხება და პასებიც.

12. ტიერი ანრი (28).

სულ ქვევით, ქვევით

ნურავის დავინდობთ, ყველა დამნაშავეა

ჩეზარე რუპერტო

იცით, ვინ არის სტეფანო პალაცო? ეს გახლავთ იტალიელი ბრალმდებელი, რომელმაც რომის „სტადიო ოლიმპიკოზე“ მიმდინარე სასამართლო პროცესზე „იუვენტუსის“, „მილანის“, „ფიორენტინასა“ და „ლაციოს“ სერია **A**-დან გაგდება მოითხოვა და ესეც არ ეყო, დასძინა, დაქვეითებულ „ლაციოსა“ და „ფიორენტინას“ ახალი სეზონი მინუს 15, ხოლო „მილანს“ მინუს 3 ქულით დავაწყებინოთო. დავაზუსტოთ: სინიორ პალაციომ „იუვენტუსისთვის“ ქულების „გამინუსება“ იმიტომ არ მოითხოვა, რომ დანარჩენი სამი გუნდისგან განსხვავებით მას სერია **B**-ში კი არა, სერია **C**-ში ხედავს.

აი, ასეთი მაღალი ნოტიდან დაიწყო პროცესი მას მერე, რაც წინა ხუთშაბათს სერია **B**-ს გუნდების: „ბოლონიას“, „ბრეშას“, „ლეჩეს“, „მესინას“ და „ტრევიზოს“ თხოვნით შეწყდა, თუმცა ბრალმდებლის გამოსვლას ქარიშხალი არ მოყოლია — ტრიბუნალის პრეზიდენტმა ჩეზარე რუპერტომ სამი საათის შემდეგ შესვენება გამოაცხადა, რომელიც 5 საათსა და ორმოც წუთს გაგრძელდა და ველარაფერი მოესწრო — ორშაბათის ამბავს მოგახსენებთ.

მაშ ასე, ხუთშაბათის შემდეგ სასამართლოს, ფაქტობრივად, მეორე ფალშ-სტარტი მოუვიდა და ასეთ პირობებში „გაძეტა დელო სპორტის“ ჟურნალისტის, გაეტანო იმპარატოს აზრით, 10 ივლისამდე დამნაშავეთა დასჯა და 27 ივლისამდე აპელაციების განხილვა უბრალოდ ვერ მოესწრება. და რა საჭიროა 27 ივლისამდე ყველაფრის მოთავება? საჭიროა, რადგან ეს ვადა იტალიელებს უეფამ დაუთქვა — ნუ დაგვავიწყდება, რომ ევროპაში ახალი სეზონია დასაწყები.

პროცესთან დაკავშირებული საკითხებიდან საინტერესო გახლდათ კიდევ ერთი — მოაწყობდნენ თუ არა მანიფესტაციებს ქომაგები. როგორც გაირკვა, თავიანთი კლუბის მხარდასაჭერად მხოლოდ ტურინში გამოვიდა რამდენიმე ათასი დემონსტრანტი, „სტადიო ოლიმპიკოს“ გარშემო კი ჩამიჩუმი არ ისმოდა. იდგა საგანგებოდ, ყოველი შემთხვევისთვის აგებული ბარიერები და ჩანდა ერთადერთი პლაკატი, რომელსაც ეწერა: „ნურავის დავინდობთ. ყველა დამნაშავეა“.

და კიდევ ორი დეტალი: ტრიბუნალმა, რომელიც, როგორც მოგახსენეთ, მხოლოდ სპორტული ძალაუფლების მქონე სასამართლოა, თავისი მახვილი გასწია მავანი კოზმი მარია ფერის კისრიდან, რამეთუ ეს კაცი ფეხბურთის ფედერაციაში ეკონომიკურ საკითხებს განაგებდა და, შესაბამისად, ჩაწყობებთან არაფერ შუაშია. და მეორე, სამშაბათს თანამდებობიდან გადადგა ვინმე პაოლო ბერგამო, იმავ ფედერაციის თანამშრომელი.

პაპუნა კედია

რუნი: რონალდუ გაირკვა

რუნი-რონალდუს ამბავი მშვიდდება.

ორი მანჩესტერელის ისტორია, პორტუგალია-ინგლისის მატჩისას რომ მოხდა, წინა დღეებში რუნის ათქმევინებდა, ემაგას, შუაზე გავჭრით, მსაჯს ჩემს გაგდებას როგორ ანდობდაო.

ახლა კი, ინგლისელი ამბობს, ცხელი გული გამინელდაო, კრიშტიანუზე ნაწყენი აღარ ვარ, ოდენ მსაჯზეო, რადგან დედას ვფიცავარ, რიკარდუ კარვალიუსთვის ფეხი სიავით არ ჩამიბიჯებია, ორთა შორის ვფორთხიალობდი და ეგ იყოო.

რუნი იმასაც ამბობს, გაოგნებული ვარო, როგორ გამაძევესო.

თავის მხრივ, გაზეთების ატეხილ ხმაურს „მანჩესტერის“ ორი ლიდერი ერთმანეთს აღარ დაელაპარაკებაო, რონალდუც ეხმიანება: „ყველამ იცოდეს, რომ ჩვენ ორთა შორის უთანხმოება არ არის. თამაშის შეჰდეგ მესიჯებიც გავუცვალეთ ერთმანეთს, ისე, როგორც წინა დღეებში. სიმართლე ითქვას, არ მოულოცია, მაგრამ მომწერა, დიდებული გუნდი ხართ და თუ ასევე ითამაშებთ, შორს წახვალთო...“

ინციდენტის არსი იმაში იყო, რომ როცა მსაჯს რუნი განზე გაჰყავდა, რონალდუ ცდილობდა, ნავთზე ცეცხლს ასხამდა.

მაგრამ ახლა, რუნის რონალდუსთვის უთქვამს, ინგლისურ პრესას ნუ ჩაუღრმავდები, იქ ჩვენზე სულ ტყუილებს წერენო. „ეს ისედაც ვიცი, სისულელეა, თითქოს ჩვენ ერთად თამაში არ გვინდოდეს“ — თქვა რონალდუმ.

თავის მხრივ, ინგლის-პორტუგალიის არგენტინელმა მსაჯმა ჰორაციო ელიზონდომაც უთხრა „ტაიმსს“: „მან საზარდულში ჩასცხო ქუსლი მეტოქეს და ამიტომაც გავაგდე. სხვა მხრივ, ეს ჯენტლმენური თამაში იყო, ხოლო ერიკსონმა მადლობა მითხრა და კარგი მსაჯობა მომილოცა. ის რუნის გაძევებასაც დაეთანხმა, რონალდუს სიტყვები კი არც გამიგონია. რომც გამეგონა, ეს ჩემზე გავლენას არ მოახდენდა“.

ასე რომ, ამბავი ამოწურულია.

ირაკლი გამყრელიძე

ეროვნული ფერადოვანი

ზინიო და მაზინიო.... ავიჩემე იმ დღეს და იმდენი ვიძახე, სანამ არ მივხვდი, რომ ორივე გამოგონებული პიროვნებაა. სინამდვილეში არც ერთი ყოფილა და არც მეორე. ისინი, მსოფლიოს ჩემპიონი რომ გამხდარიყო, კარლოს ალბერტო პარეირამ მოიგონა 1994-ში. პარეირა ნამდვილად უძლიერესი მწვრთნელია, რომელსაც 12 წლის წინვე ძალიან კარგად მოეხსენებოდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონობას დაბალანსებული შემადგენლობა სჭირდება და დიდ თავდამსხმელ რომარიოს ნახევარდაცვიდან ზინიოთი და მაზინიოთი გაუმაგრა ზურგი.

ჰოდა, ზინიო და მაზინიო... ეს ორი კაცი რომ გამოგონებულია, სახელებზეც ეტყობათ. კიტრი — მიტრი, ბადრიჯანი — მადრიჯანი, ზინიო — მაზინიო... ასეთი ბევრი შეიძლება ჩამოვთვალოთ. ერთ-ერთ არხზე ხომ გადის: პატრული — შმატრული.

ზინიო და მაზინიო რომ გამოგონებულია, კიდევ საიდან ჩანს, იცით? ტაფარელი მანამდეც იყო და მერეც არის, რომარიო მანამდეც იყო და მერეც არის, ბებეტო მანამდეც იყო და მერეც არის, თვით კარლოს ალბერტო პარეირა ახლაც ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი იყო, მეტსაც გეტყვით, პელე რომ პელეა, პელეც კი მართლა არსებობს მიუხედავად იმისა, რომ დღენიადაგ გაიძახის, ბრაზილიური ყავა ვარო, ზინიო და მაზინიო კი მარტო 1994 წლის ივნისში იყვნენ.

აი, მოკლედ, ასე გამოვიდა... ვიფიქრე, ვიფიქრე და მთელ საიდუმლოს მივხვდი ერთი რამის გარდა: პარეირას ეს ამბავი ვინმესთვის ჰქონდა ნათქვამი თუ მარტო თვითონ იცოდა? ზაგალოს მაინც არ ეცოდინებოდა? თვით მარიო ლობო ზაგალოს... ძნელია ამის დაჯერება, ძალიან ძნელი. ზაგალოს რომ უყურებ, ვერაფრით დაიჯერებ, რომ ზინიოს და მაზინიოს ამბავი არ იცოდა.

ანდა... ვაიმე, თვითონ ზაგალოც გამოგონებული ხომ არ არის? ისე, თუ ძალიან დააკვირდები... არა, არა, არ მჯერა. ზაგალო ვიღას უნდა გამოეგონა, ის რომ ბრაზილიის ნაკრებში თამაშობდა, პარეირა ბავშვი იყო. კი, ჰარი პოტერიც ბავშვია, მაგრამ ზაგალო რომ გამოგონებულია, არ მჯერა და მომკალი.

ზინიო და მაზინიო კი... პარეირამ 1994-ში ზინიო და მაზინიო რომ გამოიგონა, იმიტომაც გახდა ჩემპიონი, ახლა კი რაღაც ძალიან ბევრი რონალდო ჰყავდა, უბრალოდ, ზოგს გვარის ბოლოს დინიო ეწერა და ზოგიც მსუქანი იყო.

პაპუნიუს კედიუსი

ფეხბურთის რუკასთან

დანიურმა „ვაილემ“, რომელიც მომავალ სეზონში უმაღლეს დივიზიონში ითამაშებს, „კოპენჰაგენიდან“ ესტონელი მცველი ურმას როობა შეიძინა.

იტალიურმა „რომამ“ „სტრასბურიდან“ ნიჭიერი ნახევარმცველი რიკარდო ფატი შეიძინა. 19 წლის ფეხბურთელმა გასულ სეზონში შვიდი მატჩი ითამაშა, „სტრასბური“ კი ქვედა ლიგაში გავარდა. რიკარდო ფატიმ „რომასთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

შვეიცარიულმა „თუნმა“ ხორვატიის ნაკრების მცველი ვედრან ჟესე იყიდა. 25 წლის ჟესეს სამ ხორვატიულ კლუბში უთამაშია, „თუნში“ კი სამი წლით გადავიდა. შეგახსენებთ, რომ შვეიცარიელებმა უკვე გადაიბირეს ჩეხი ლუკაშ დოშეკი.

ესპანურმა „სევილიამ“ მადრიდის „რეალის“ სათადარიგო მეკარე კობენიო წაიყვანა და სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. კობენიოს გარდა, სევილიელებმა „მალაგადან“ 26 წლის პორტუგალიელი ნახევარმცველი დუდა გადაიბირეს.

ფრანგულმა „ლორიანმა“ ოთხი ახალი ფეხბურთელი იყიდა: „სტრასბურიდან“ ნახევარმცველი ულრიხ ლე პენი, „გენგამიდან“ ფაბრის აბრიელი, „ანჟერიდან“ მეკარე ლიონელ კაპონე, „კრეტეიდან“ კი მეგოლე დავიდ მბოჯი, რომელმაც გასულ სეზონში თხუთმეტი გოლი გაიტანა. შეგახსენებთ, რომ „ლორიანი“ უმაღლეს დივიზიონში გადავიდა და შემადგენლობის გაძლიერებას ეშურება.

ესპანურმა „სარაგოსამ“ ამსტერდამის „აიაქსიდან“ მცველი ხუანფრანი გადაიბირა. 29 წლის ფეხბურთელი ვიგოს „სელტადან“ იყო განათხოვრებული ამსტერდამულ კლუბში და „სარაგოსას“ მუქთად ერგო, რაკი ვიგოელებთან კონტრაქტი დაუსრულდა. ხუანფრანის გარდა, სარაგოსელებმა სერხიო ფერნანდესი და ანდრეს დალესანდროც დაიმატეს.

ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფორვარდმა ჯუზეპე როსიმ კლუბთან კონტრაქტი ორი წლით გაახანგრძლივა. როსიმ ასოციაციის თასზე „ბოლტონს“ ორი გოლი გაუტანა, ხოლო მაისში „ჩარლტონის“ წინააღმდეგ პრემიერლიგის მატჩში პირველად ითამაშა ძირითად შემადგენლობაში. „ძალიან მიხარია, რომ კვლავ ვრჩები მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს კლუბში. ვეცდები, ნდობა გავამართლო“. — თქვა როსიმ.

ესპანურმა „ლევანტემ“, რომელიც მომავალი სეზონიდან პრიმერადივიზიონში ითამაშებს, „ალმერიადან“ მცველი მანოლო გასპარი შეიძინა. გასპარი „მალაგას“ აღზრდილია და ორი წელი გაატარა „ალმერიაში“, „ლევენტესთან“ კი სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

კაპელო: ჩუმი, უსკანდალო რეალიზაცია

სამეფო ამალა დაიფერთხება: იგი, ვთქვათ, ბუტრაგენიო, წავა და სხვა მოვა





„იუვენტუსიდან“ გაქცეული ფაბიო კაპელო რამონ კალდერონს შეეკედლა

ფაბიო კაპელოს მადრიდის „რეალის“ მწვრთნელად ოფიციალურად დღეს წარადგენენ. იტალიელი მაესტრო ესპანეთში იყო დასასვენებლად და გუშინ ტურინს გაფრინდა, რათა „იუვენტუსს“ დამშვიდობებოდა. დონ ფაბიო უფასოდ ბრუნდება „რეალში“. იტალიურ გრანდთან კონტრაქტში არსებული მუხლის თანახმად, კაპელოს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მიყვანა ესპანურ კლუბს კაპიკიც არ დაუჯდება.

ამგვარად, სრულდება პრედრაგ მიატოვიჩის გეგმა: „რეალის“ ახალ სპორტულ დირექტორს სურდა, კაპელო სკანდალების გარეშე გამოთხოვებოდა ისედაც საქმეაწეწილ „იუვენტუსს“ და უპრობლემოდ გაეფორმებინა ხელშეკრულება სამეფო გუნდთან. იტალიელი მწვრთნელი დღესვე შეუდგება სეზონისწინა საქმიანობას, თუმცა მუნდიალის მონაწილე რეალელები კლუბს ორიოდ კვირაში შეუერთდებიან. პრედრაგ მიატოვიჩი კი ორშაბათს მთელი დღე ტელეფონზე იყო ჩამოკიდებული — სპორტული დირექტორი კაპელოსთან მომავალი ხელშეკრულების დეტალებს აზუსტებდა და დაძაბული მოლაპარაკების ბოლოს იტალიელ სპეციალისტს უკვე პრეზიდენტმა კალდერონმა მიულოცა ესპანეთის სატახტოში დაბრუნება.

სენიორ კალდერონი უკვე სრულუფლებიანი პრეზიდენტია. გუშინ საარჩევნო კომისიამ, ბოლოს და ბოლოს, 55 წლის ადვოკატი „რეალის“ თავკაცად ოფიციალურად დაამტკიცა. იქამდე მადრიდში არეულობა იყო. პრეზიდენტობის წაგებული კანდიდატი ვილიარ მირი ჯიუტად გაიძახოდა, არჩევნები ფარსია და წესით პრეზიდენტი მე უნდა ვიყო... მოკლედ, კალდერონის გამარჯვებას უკვე ვერავინ გააპროტესტებს და სენიორ რამონიც შეუდგება თავისი მოვალეობის შესრულებას. ჯერ თავის ხელქვეითებს მიმართავს „ოფიციალური მისალმებით“, შემდეგ კი ხელს მოაწერს ქაღალდს, რომლის მიხედვითაც კლუბში გაწევრიანებულ ინჩასთა რაოდენობა კიდევ 4000-ით გაიზრდება. ამის მერე კალდერონი დირექტორთა საბჭოს შეკრებს, ზოგს დაუყვავებს, ზოგსაც ტაქტიანად მიუთითებს კარისკენ... უკვე ცნობილია, რომ მარკეტინგის გენერალური დირექტორი ხოსე ანხელ სანჩესი და კლუბის ვიცე-პრეზიდენტი ემილიო ბუტრაგენიო თანამდებობებს დატოვებენ. ბენიტო ფლოროს და რამონ მარტინესის „რეალიდან“ დათხოვნა კი კალდერონმა პრედრაგ მიატოვიჩს მიანდო.

ბოლოს, „რეალის“ ახალი მმართველი ბანაკის სატრანსფერო გეგმებსაც შეგახსენებთ. კაპელოს ამბავი ცნობილია, ფეხბურთელებიდან კი კალდერონს და მიატოვიჩს რუუდ ვან ნისტელროის, კაკას, სესკ ფაბრეგასის, არიენ რობენის, ხოსე ანტონიო რეიესის და ხოაკინის შეძენა უნდათ.

ლადო ხომერიკი

არ ვაწვები, მაგრამ ველი

დიეგო მარადონამ გამოაცხადა, რომ არ აპირებს არგენტინის ნაკრების მწვრთნელობისთვის ბრძოლას. თუმცა, იქვე დაურთო, რომ ჩრდილშიც აღარ დარჩება.

ბუენოს აირესს დაბრუნებულმა მარადონამ თქვა: „ეგებ ნაკრების მწვრთნელი არასდროს გავხდე. ილუზიები არა მაქვს. რაც მინდა, ისაა, რომ არგენტინა საუკეთესო იყოს“.

სწორედ ამ დღეებში ატყდა ლაპარაკი, რომ მარადონა ნაკრების მწვრთნელობის ერთ-ერთი კანდიდატია კარლოს ბიანკისთან ერთად, რომელმაც დატოვა მადრიდის „ატლეტიკო“ უიღბლო მუშაობის შემდეგ. საზოგადოებრივი გამოკითხვებით კი ცნობილია, რომ ხალხის უმრავლესობას ალბისელესტეს საჭესთან კვლავაც ხოსე პეკერმანის ხილვა სურს. არგენტინელები ძალიან აფასებენ იმას, რომ პეკერმანმა სამგზის გახადა არგენტინელი ახალგაზრდები მსოფლიო ჩემპიონები და უამრავი დიდი ნიჭის მოთამაშე, მათ შორის ლეო მესი აღმოუჩინა ქვეყანას.

პეკერმანს ჯერ ასოციაციის თანხმობა არ მიუღია, მაგრამ თავისი სიტყვით უკვე გადადგა.

მარადონა კი აცხადებს: „ასოციაციაში მისვლას და ხულიო გრონდონასთვის გეგმების დახვავებას არ ვაპირებ. თუ რამე უნდათ, აქ ვარ. თანაც, ყველას ეგონა, რომ წინა მსოფლიო ჩემპიონატზე მარცხის შემდეგ, მარსელო ბიელსა გადადგებოდა, მან კი კონტრაქტი გააგრძელა. ვინ იცის, ეგებ ახლაც ასე მოხდეს?“

მარადონას მიაჩნია, რომ არგენტინას გერმანია უნდა დაემარცხებინა.

„ის, რომ კარგად ვითამაშეთ, არ ნიშნავს, რომ უკეთესნი ვიყავით. გერმანიისთვის უნდა მოგვეგო, ისევე, როგორც კოტ დივუარის და სერბეთისთვის. გერმანია კოტ დივუარზე ძლიერი არ იყო“.

ამასობაში კი, პეკერმანმა გამოაცხადა, რომ მართლა და საბოლოოდ წავიდა.

არგენტინის ნაკრების თვითმფრინავი, ბუენოს აირესიდან 30 კილომეტრში, ესეისაში დაეშვა. გუნდს 5 ათასამდე გულშემატკივარი დახვდა.

ჰოდა, პეკერმანმა სწორედ იქ თქვა, საბოლოოდ წავედიო, რიკელმე შეაქო და განმარტა, იმიტომ შევცვალე, რომ უმძიმესად მოქანცული იყო.

მარადონა კი, ეტყობა უარს არ იტყვის, თუ შესთავაზებენ.

ირაკლი გამყრელიძე

რონალდინიო ასანთზე და სკოლარი ენაზე

ბრაზილიურ ცეცხლს ჰელემ ყავა გადაასხა



კარლოს ალბერტო პარეირა



რონალდინიოსგან ესლა დარჩა

მუნდიალიდან სამშობლოში დაბრუნებულ ბრაზილიის ნაკრებს ტორსიდა ლანძღვა-გინებით შეეგება. აეროპორტში მწვრთნელი პარეირა და 12 ფეხბურთელი (23-დან მარტო ესენი დაბრუნდნენ ბრაზილიაში) იძულებულნი იყვნენ, უკანა კარიდან გაპარულიყვნენ, რათა განრისხებულ ფანებთან შეჯახება თავიდან აეცილებინათ. გულშემატკივრებმა კი ბევრი იყვირეს „ნაბიჭვრებო", "ფულზე გაყიდულებო" და სხვა ისეთებიც, რისი აქ დაწერა არ შეიძლება. ორადორმა ფეხბურთელმა დაამსახურა ტორსიდის აპლოდისმენტები — ჟილბერტო სილვამ და კაპიტანმა კაფუმ. დანარჩენებს კი ყოველთვის მწარედ გაახსენდებათ ფანთა ეს „გულთბილი" დახვედრა.

„ნაკრებიდან წასვლის გადაწყვეტილება უკვე მივიღე, თუმც თანამდებობას მხოლოდ ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან, რიკარდუ ტეიშეირასთან შეხვედრის შემდეგ დავტოვებ" — განაცხადა პენტაკამპეონთა მწვრთნელმა კარლოს ალბერტო პარეირამ რიოში მოწყობილ პრესკონფერენციაზე. ამ კაცმა 1994-ში ბრაზილია მეოთხედ გახადა მსოფლიოს ჩემპიონი, თუმცა გერმანულ მუნდიალზე ვერაფერი გააწყო და ფანთაგან შერისხული ნაკრების საჭის სხვისთვის გადაბარებას ეშურება. „ჩემთვის სულერთია, ეროვნული გუნდის მწვრთნელი ვინ გახდება. მთავარია, მან ბრაზილია 2010 წლის ჩემპიონატისთვის სათანადოდ მოამზადოს" — უთქვამს პარეირას.

სანამ სეუ კარლოსი რიკარდუ ტეიშეირას შეხვდება, ბრაზილიაში უკვე ახალი მწვრთნელის ვინაობაზე ბჭობენ. ზოგის აზრით, ეს უნდა იყოს პერუს ნაკრების ექსთავკაცი და ახლა იაპონიაში მომუშავე პაულო აუტორი. იგი სანაკრებო დონეზე რაიმე მიღწევით ვერ დაიკვეხნის. სამაგიეროდ, 1999 წლის კოპა ამერიკა მოუგია ვანდერლეი ლუშემბურგოს, რომლის დაბრუნებასაც ასევე ითხოვენ ეროვნულ გუნდში. ლუშემბურგოს თავის დროზე ნაკრები სკანდალის გამო დაატოვებინეს — სახელგანთქმული მწვრთნელი დოკუმენტების გაყალბებაში გახლდათ ეჭვმიტანილი.

ფანების უმრავლესობას კი ნაკრებში კვლავ ლუიშ ფელიპე სკოლარის ხილვა სურს. ბრაზილიური გაზეთები ერთხმად აღნიშნავენ, მორიგ ჩემპიონობას, ოღონ დიდი ფილი თუ მოგვიტანს. სკოლარიმ 2002-ში მოინადირა ოქროს მედლები და ავტობუსში ქურდულად შევარდნილ ბედკრულ პარეირასაც, ეტყობა, ამიტომ მიაღრიალეს ზურგში გულშემატკივრებმა: „ფელიპაო, ფელიპაო, ფელიპაო!!!"

არის ბრაზილიის სამხრეთში ასეთი ქალაქი, შაპეკუ. იქ ორი წლის წინ რეზინისგან და რკინისგან რონალდინიოს შვიდმეტრიანი ქანდაკება ჩამოუსხამთ, ბარსელი კიჭა მაგარზე მაგარიაო. რონალდინიომ კი 2006-ის მსოფლიოს პირველობაზე ვერ ივარგა და შაპეკუელებმა ქანდაკებას ცეცხლი წაუკიდეს. „რონისგან" რაც დარჩა, სურათზეც ხედავთ... რა გაეწყობა, ბრაზილიელებს თანამემამულე ვარსკვლავების „დაფასება" სცოდნიათ. ერთმა იქაურმა კაცმა (ძალიან ცნობილმა კაცმა) კი მეოთხედფინალში ფრანგებთან დამარცხებასთან დაკავშირებით ბრძნულად ბრძანა: „ახლა სიმშვიდეა საჭირო. იმედი მაქვს, საფრანგეთის ნაკრებთან წაგება მომავალში გაკვეთილად გამოგვადგება". პელეს უყვარს ასე ლაპარაკი...

ლადო ხომერიკი

ჰიდინკი მიაკრეს ულიე ჭორია



გუს ჰიდინკი

ავსტრალიის ფეხბურთის ფედერაცია აგრძელებს მოლაპარაკებას ჟერარ ულიესთან, რომელიც გუს ჰიდინკის შემცვლელად სურთ. ფედერაციის პრესმდივანმა ჭორი უწოდა ინფორმაციას, თითქოს ფრანგმა უკვე მოაწერა ხელი კონტრაქტს. „კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა — განაცხადა პრესმდივანმა — ჩვენ მოლაპარაკების პროცესში ვართ".

ავსტრალიის ფეხბურთის ჩინოვნიკები ადასტურებენ, რომ მათთვის ჟერარ ულიე ყველაზე სასურველი კანდიდატია. გამორიცხული არაა, ნაკრებს დროებით, ჰიდინკის თანაშემწე გრეგ არნოლდმა უთავკაცოს. შეგახსენებთ, რომ ულიე ამჟამად „ლიონის" მწვრთნელია.

სანამ ახალს ეძებენ, ავსტრალიელებმა ძველს პატივი მიაგეს. გუს ჰიდინკს მერვედფინალში გასვლა დაუფასეს და მას საფოსტო მარკაზე დახატავენ. ჰოლანდიელის გარდა, შვარცერის, ვიდუკას, კეჰილის, კიუელის, ალოიზის, მურის, ბრეშიანოს და ემერტონის მარკებიც გამოვა.

„ჩვენი ნაკრებით ვამაყობთ — ბრძანა ავსტრალიელ ფილატელისტთა შეფმა ნოელ ლიჰიმ — მარკებზე მათი დახატვა კი პატივისცემის ნიშანია".

რომან თურქია

ბრაზილია ცნობილი თავისა და ფეხის გარეშე

რობერტო კარლოსი ნაკრებს დაემშვიდობა

ბრაზილიელმა მცველმა რობერტო კარლოსმა სანაკრებო კარიერა დაასრულა. 33 წლის ფეხბურთელის ბოლო მატჩი პენტაკამპეონთა რიგებში საფრანგეთთან წაგებული მეოთხედფინალი გამოდგა. პირველად კი ბრაზილიის მაისურა მან 1992 წლის 26 თებერვალს მოირგო, როცა სამხრეთამერიკელებმა აშშ-ს 3:0 მოუგეს. კარლოსს ნაკრებში სულ 125 თამაში მოუგროვდა.

„ჩემი დრო წავიდა. ეს გადაწყვეტილება მარტივი მისაღები არ იყო, მაგრამ ამ ნაბიჯამდე ოდესმე ყველა ფეხბურთელი მიდის. იმედია, ჩემს მერე ექვსნომრიან მაისურას ის ჩაიცვამს, ვინც ბრაზილიას ახალი გამარჯვებების მოპოვებაში დაეხმარება. დიდი მადლობა მოთამაშეებს და გულშემატკივრებს, რომლებიც ამ წლების მანძილზე გვერდით მედგნენ" — განაცხადა კარლოსმა.

საოცარი სისწრაფითა და ყუმბარისებური დარტყმით ცნობილი მცველი 1995 წელს გაიცნეს, როდესაც იგი „პალმეირასიდან" მილანის „ინტერში" გადავიდა. თუმცა მალევე, დაახლოებით ერთ წელიწადში, მან მადრიდის „რეალს" მიაშურა, სადაც დღემდე თამაშობს. „სამეფო კლუბთან" ერთად, კარლოსმა მრავალი ტიტული მოიპოვა. წლების მანძილზე იგი გუნდის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო.

კოკი კანდელაკი

ფინეთი

ვეიკაუსლიგა
XI ტური

იარო — ჰიკ 2:0; ჰონკა — ლაჰტი 5:0; კუოპიო — ვაასა 1:2; მიუპა — მარიეჰამნი 0:2

ტამპერე	9	7	1	1	15:7	22
ჰონკა	10	6	2	2	23:13	20
მარიეჰამნი	11	5	4	2	17:11	19
მიუპა	10	4	3	3	11:7	15
ჰაკა	10	4	3	3	9:6	15
ტურკუ	10	4	2	4	20:16	14
ჰიკ	10	3	3	4	9:11	12
ლაჰტი	10	3	3	4	8:13	12
ინტერი	8	3	2	3	8:7	11
იარო	9	3	1	5	13:13	10
ვაასა	8	2	2	4	8:12	8
კტპ	9	2	1	6	7:20	7
კუოპიო	10	1	3	6	6:18	6

ნორვეგია

ტიპელიგა. XII ტური

ფრედრიკსტადი — ლინი 1:2; ჰამ კამი — ბრანი 4:0; მიოლდე — სტაბეკი 1:3; ვიკინგი — რუსენბორგი 1:3; ვოლერენგა — სანდეფიორდი 4:1; სტარტი — ტრომსიო 1:1

ბრანი	12	7	4	1	19:11	25
ლილესტრიომი	11	6	3	2	19:12	21
რუსენბორგი	12	4	6	2	17:13	18
ვოლერენგა	12	4	4	4	15:13	16
სტაბეკი	12	3	7	2	15:13	16
ჰამ კამი	12	4	3	5	18:14	15
ოდ გრენლანდი	11	3	6	2	14:11	15
ლინი	12	4	3	5	11:14	15
სანდეფიორდი	12	4	3	5	13:18	15
ვიკინგი	12	3	5	4	10:12	14
მიოლდე	12	4	2	6	13:17	14
ფრედრიკსტადი	12	3	4	5	16:22	13
სტარტი	12	2	6	4	10:14	12
ტრომსიო	12	2	4	6	11:17	10

თმის გადანერგვის კლინიკა
«ჰეალაინ ინტერნეიშნლ»
ნილომძღვანელი ჭრილი. თამაზ თამაზაშვილი

უყურე ფეხბურთს ჩვენთან ერთად დაშედეგით კმაყოფილი დარჩები

- უფასო კონსულტაცია, კონფიდენციალობა
- გარანტირებული შედეგები
- უახლესი აღჭურვილობა ამერიკული ტექნოლოგიები

HAIRLINE International

მსოფლიო და ამერიკის თმის გადანერგვის ასოციაციების მიერ სერთიფიცირებული

ერთადერთი კლინიკა ამერიკაში

ქავთარაძის 16 (სამეუნიერო ტომბინატი)
ტელ: 30 00 30; (893)62 32 62

სევერიო, შე მოღალატე!

გერმანიის ნაკრებს იტალიელი აჭმევს

სევერიო პულიეზე ტომით იტალიელია, მაგრამ კერძებს გერმანიის ნაკრებისთვის ამზადებს. „შპიგელთან“ ინტერვიუში 50 წლის მზარეულმა პატრიოტიზმზე, გაბოროტებულ თანამემამულეებზე, გერმანელ ფეხბურთელთა საყვარელ საჭმელებსა და კულინარიულ საიდუმლოებებზე ისაუბრა



— სენიორ პულიეზე, გერმანიის ნაკრების მოთამაშეებს მაისურაზე სამი ვარსკვლავი აქვთ. თქვენ რამდენ ვარსკვლავს ფლობთ?

— არც ერთს. ჩემთვის კარგი რეპუტაციაც საკმარისია.

— რაში გამოიხატება ეს რეპუტაცია?

— ხარისხში, ტრადიციების ერთგულებას და სერიოზულობაში. უკვე 26 წელია, რაც ნიო იზენბურგში რესტორნის მფლობელი ვარ.

— რესტორანში, რა კერძებს ანიჭებთ უპირატესობას?

— ეს არის იტალიური რესტორანი ხმელთაშუაზღვისპირეთის სამზარეულოთი. და არავითარი პიცა. გვაქვს კალაბრიული კერძები, მაგალითად, კალაბრიული სპაგეტი, რომელიც ნივრით, წიწაკით, ზეითუნის ზეთით და პამიდვრითაა შეზავებული. აუცილებლად უნდა გასინჯოთ, ფანტასტიკური გემო აქვს.

— თქვენ ელიტარული ხალხის მზარეულად ითვლებით?

— არა, უბრალო ადამიანი ვარ.

— სახელგანთქმულ ვარსკვლავებს თქვენი კერძები არ გაუსინჯავთ?

— გერმანიაში ცოტა თუ იქნება რესტორანი, მომღერლებისა და მსახიობების ასეთი ხშირი სტუმრობით რომ დაიტრაბახოს. „როლინგ სტოუნზი“, „განზ ენ როუზისი“, „დაიერ სტრაიტსი“, „სიმპლი რედი“, ტინა ტერნერი — რომელი ერთი...

— რესტორნის ელიტარულობაში დაგვარწმუნეთ...

— „ბიტლზის“ გარდა, ყველასთვის გამიწევია მასპინძლობა. ცნობილი ხალხის პირად ცხოვრებას პატივისცემით ვეკიდები. ჩვენთან პარაცებს ვერ ნახავთ. არც ავტოგრაფებს ვაგროვებ ვარსკვლავებისგან.

— გერმანიის ნაკრების ფეხბურთელებთანაც ასე იქცევით?

— ყოველდღე ვხედავ ამ ბიჭებს და ავტოგრაფები რატომ უნდა ვთხოვო? მათთვის თავდაუზოგავად ვმუშაობ, ყველაფერს ვაკეთებ და ეს საკმარისია.

— თუ მოსწონთ მოთამაშეებს თქვენი მომზადებული კერძები?

— რა თქმა უნდა! თუ ჩემი არ გვჯერათ, თავად ფეხბურთელებს ჰკითხეთ.

— საუზმესა და სადილზე შვედურ მაგიდას აწყობთ?

— დიახ. ყველა ფეხბურთელს ხომ თავისი გემოვნება აქვს. სუპი ხორცის გარნირით, ხილი, მაკარონი, თევზი... ყველაფერი ძალიან უბრალოა.

— ანუ ექსპერიმენტებს არ მიმართავთ?

— არანაირად. ფეხბურთელები თევზს დიდი სიამოვნებით მიირთმევენ. ზღვის პროდუქტებსაც ვთავაზობ. ხანაც ქათამს, ბრინჯს, კარტოფილს და ასე შემდეგ. ყველაფერი უცხიმოა, რა თქმა უნდა.

— სულ არ აქვს ცხიმი?

— როგორ არა, კერძი ცოტა შეკმაზული უნდა იყოს, თორემ ორი-სამი დღის შემდეგ მისკენ აღარ გაიხედავ.

— ფეხბურთელებს თუ აქვთ თავიანთი ფავორიტი კერძები? ან იქნებ განსაკუთრებულად რაიმე არ მოსწონთ?

— არა მგონია. ბიჭებს ძალიან მაღალი ხარისხის საკვებს ვთავაზობ — იტალიური სამზარეულო ხომ მსოფლიოში საუკეთესოა! დავნაყრდი და მეტს ველარ შევჭამო — ჩვენთან ამის თქმა არ მოგინდებათ.

— გერმანიის ნაკრებში 2003 წლიდან შემდეგ მუშაობთ: როცა მწვრთნელად იურგენ კლინსმანი დანიშნეს, ეროვნული გუნდის ყოფილ მზარეულთან ჰაინც იმჰოფთან ჩხუბი მოგივიდათ...

— მაშინ მართლაც იყო რაღაც გაუგებრობა. ჯერ თქვეს, ერთ თამაშზე ერთი მზარეული მომესახუროს გუნდს, მეორეზე კი მეორეო. ასეც მოხდა. იმჰოფი ავსტრიასთან მატჩისას ამზადებდა კერძებს, მე კი ბერლინში ბრაზილიასთან შეხვედრის წინ მომანდეს ფეხბურთელების გამოკვება. თამაშის შემდეგ კლინსმანმა მითხრა, სევერიო, ოთხი კვირის მერე თეირანში ისევ შენ იქნები... იმჰოფთან ჩხუბი კი მედიამ მოიგონა.

— იტალიელი ხართ და გერმანელებს კი ემსახურებით...

— გულით ყოველთვის იტალიელი დავრჩები, მაგრამ მომწონს გერმანიაში მუშაობა, ქვეყანაში, სადაც კარიერა გავიკეთე. სხვათა შორის ჩემი ცოლი გერმანელია.

— კი მაგრამ, იტალიელი მეგობრები არ გეუბნებიან, სევერიო, მიდი, ამ ღორებს საჭმელში რაიმე სისაძაგლე შეურიეო?

— კი, სულელები ყველგან არიან. ზოგი მაგინებს, მოღალატე ხარო, მაგრამ ეს ასე არ არის. მე ხომ ჩემს ხელოვნებას ვხვეწდი და ამისთვის ახალი სივრცეების „დაპყრობა“ დამჭირდა. ჩემს ჰორიზონტზე იტალიას ან გერმანიას კი არა, ევროპას ვხედავ.

— და ნახევარფინალში...

— გერმანიის ნაკრებთან ვარ ასი პროცენტით.



„განზ ენ როუზისის“ ვოკალისტი ექსლ როუზი

საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ვასილის გაგაცისი

ფეხბურთი ცალკე სახელმწიფოა: ინტერვენცია მკაცრად ისჯება!

ფიფამ ბერძნებს ვადა მისცა: 15 ივლისი

„სარბიელის“ მკითხველისთვის ცნობილია, რომ ფიფამ საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაცია ყველა ჯურის საერთაშორისო შეჯიბრებიდან მოკვეთა. ამასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა, რომელმაც ბრძანა:

„ეს დისკვალიფიკაცია განგაშის ზარი იქნება და, ვფიქრობ, მას სერიოზულად მოეკიდებიან, რადგან, რამდენადაც მე ვხედავ, ჩვენ წინაშე ცალკეულ პიროვნებათა დაპირისპირებაა და არა ხალხის დიდი მასის ფეხბურთის საზიანო აქცია. ჩვენ ანალოგიური პრობლემები გვქონდა პორტუგალიასა და პოლონეთშიც, მაგრამ, საბერძნეთისგან განსხვავებით, ამ ორ ქვეყანაში სწორი პოზიცია დაიჭირეს და გამოსავალს ვუახლოვდებით“.

ბლატერის თქმით, ფიფა განსაკუთრებით საბერძნეთის საფეხბურთო ლიგის ავტონომიურობამ, მასში მსაჯთა განაწილების პრინციპმა და დისციპლინურ საკითხთა მოგვარების წესმა გააღიზიანა. ფეხბურთის მმართველი ორგანიზაცია იმედოვნებს, რომ ელინთა პარლამენტი ამ საკითხს უახლოეს დღეებში განიხილავს და 15 ივლისამდე „სახლს დაალაგებს“, წინაღმდეგ შემთხვევაში კი ჩემპიონთა ლიგას, უეფას თასს და სხვა საერთაშორისო შეჯიბრებებს მართლა ბერძნული გუნდების გარეშე მოუწევს დაწყება.

საინტერესოა, რომ, თავის მხრივ, საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაცია ყველა ცოდვას ქვეყნის სპორტის მინისტრს, გიორგოს ორფანოსს ჰკიდებს და აცხადებს, რომ ცეცხლთან თამაში სწორედ ამ კაცმა დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთი სახელმწიფოს გამოეყო, ამ კაცმა სახელმწიფო ინტერვენცია პირიქით, გააძლიერა.

საკლუბო შეჯიბრებები საკლუბო შეჯიბრებებად და, ევროპის 2008 წლის შესარჩევი ტურნირიც სექტემბერში იწყება...

ხოლო ბლატერის მიერ ხსენებულ ჰოლონეთში ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მიხალ ლისტკევიჩი თანამდებობიდან გადადგომას აპირებს — ქვეყნის პრემიერ მინისტრმა, კაზიმიერ მარცინკევიჩმა ფედერაციის ფინანსურ პატიოსნებაში ეჭვი პირადად შეიტანა. საქმე, ყველაფერთან ერთად, გადასახადების დამალვასაც ეხება. გამოძიებას ეჭვი აქვს 20-ზე მეტ ადამიანზე, რომელთა შორის მსაჯები და ფეხბურთელებიც არიან.

პაპუნა კედია

პირესი და პრიმერა

რობერ პირესი დიდი ამბიციით ჩავიდა ვილიარეალში და პრიმერადივიზიონის მოგებას აპირებს. „ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ესპანეთში თამაშის საშუალება მეძლევა. აქ ჩემპიონატის მოსაგებად ჩამოვედი. გუნდს ბევრი მაღალი კლასის ფეხბურთელი ჰყავს და პირველობისთვის ბრძოლას შევძლებთ“ — განაცხადა „არსენალის“ ყოფილმა ნახევარმცველმა, რომელიც ოფიციალურად გახდა „ყვითლების“ ფეხბურთელი და ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

რობერ პირესმა ექვსი წელი გაატარა ლონდონის „არსენალში“, სადაც ორჯერ პრემიერლიგა და ორჯერ ასოციაციის თასი მოიგო.

„მე ნახევარდაცვის ცენტრში და ორივე ფლანგზე თამაში შემიძლია. ვფიქრობ, „ვილიარეალს“ ძალიან წავადგები“ — აღნიშნა ფრანგმა.

ჩემპონთა ლიგის ნახევარფინალისტი „ვილიარეალი“ პრიმერადივიზიონში მეშვიდე ადგილზე გავიდა და ინტერტოტოზე ითამაშებს. „ყვითლებმა“ პირესამდე „სოსიედადიდან“ — ნიჰათი, ხოლო „სარაგოსადან“ ჩანი შეიძინეს.

ვაჟა ხუციშვილი

აბა, არწივები ისინი იყვნენ...

დიდი ხორვატების ბაზიერს სიბერეში ალბანელები შერჩა

ალბანეთის ეროვნულ ნაკრებს, სულ მცირე, ერთი წლის მანძილზე, გამოცდილი ხორვატი მწვრთნელი ოტო ბარიჩი უთავკაცებს. შეგახსენებთ, რომ 74 წლის სპეციალისტი თავის დროზე ვენის „რაპიდში", „შტურმში", „ტიროლში" და ზაგრების „დინამოში" მუშაობდა, სადაც გაითქვა კიდეც სახელი. იგი გერმანელ ჰანს-პეტერ ბრიგელს შეცვლის, ვინც ალბანელებს საკმაო ხანი და წარმატებით წვრთნიდა, მაგრამ ფედერაციას ახალ კონტრაქტზე ვერ შეუთანხმდა და გუნდი რამდენიმე თვის წინ დატოვა.

ოტო ბარიჩი: „ბრიგელმა ბრწყინვალედ იმუშავა და ალბანეთი ორისამი საფეხურით აამაღლა. ყველანაირად ვეცდები, ევრო 2008-ზე მოვხვდეთ, მაგრამ ჩემი მთავარი ამოცანა ნაკრების კიდევ უფრო წინ წაწევაა."

შეგახსენებთ, რომ მომავალი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ალბანელებს მეტოქეებად რუმინეთი, ჰოლანდია, ბულგარეთი, სლოვენია, ბელარუსი და ლუქსემბურგი შეხვდათ.

კოკი კანდელაკი

ვინ და როგორ გაისჭელა ჯიბე



2006 წლის მუნდიალი ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელთათვის ფინანსურადაც ვერ აღმოჩნდა მომგებიანი. ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია მოთამაშეებს ფინალში თამაშის შემთხვევაში ჯილდოდ სოლიდურ თანხებს ჰპირდებოდა, თუმცა „ფურია როხა" მერვედფინალიდან გავარდა და ჩინოვნიკებმაც რაულისა და მისი ამხანაგებისთვის გროშიც არ გაიმეტეს... სამაგიეროდ, ესპანეთისგან წახდენილი უკრაინა დასაჩუქრდა გულუხვად — მეოთხედფინალში გასვლის სანაცვლოდ თითოეულმა 267 ათასი ევრო მიიღო.

„ჩვენ გულუხვი სპონსორები და კარგი მეგობრები გვყავს, რომელთაც ძალიან უყვართ ფეხბურთი" — ასე უთხრა უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გრიგორი სურკისმა მედიას.

თავად სურკისს, რომელიც უკრაინის ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ კაცად ითვლება, ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ ნაკრების ყველა ფეხბურთელისთვის 130 ათასი ევრო უბოძებია. მობილური ტელეფონების ფირმა „კიევსტარმა" ამას კიდევ 72 ათასი ევრო დაუმატა. შვეიცარიასთან მოგებული მერვედფინალის აღსანიშნავად შევჩენკოს გუნდმა კიდევ 65-65 ათასი მიითვალა... მოკლედ, გერმანელმა ჟურნალისტებმა დათვალეს და უკრაინას ჩემპიონობისთვის რომ მიეღწია, ბლოხინის ყველა შეგირდი 809 ათასი ევროთი გამდიდრდებოდა.

თითო იტალიელმა მოთამაშემ მეოთხედფინალში გასვლისთვის 50 ათასი ევრო მიიღო. აი, ვისაც მაგრად გაუმართლა ანგოლელი ფლავიოა — ერთადერთი გოლი შეაგდო მუნდიალზე და საჩუქრად 120 ათას ევროდ ღირებული სახლი მიიღო...

ალბათ გახსოვთ ტოგოს ნაკრების გაფიცვა და გეტყვით, რომ მეამბოხე ტოგოელებმა თავიანთ ფედერაციას ნაკრების ყველა წევრზე 50 ათასი ევრო მაინც გამოსტყუეს.

საუდის არაბეთის სამეფო ოჯახი ნაკრების მოთამაშეებს, თუნდაც ჯგუფიდან გასვლის შემთხვევაში ბლომად ფულს, ძვირადღირებულ მანქანებს, იახტებს, ვილებსა და საერთოდ ყელამდე ოქროში ჩასმას დაჰპირდა. ვაგლახ, არაბმა ფეხბურთელებმა მაინც „მოახერხეს" ჯგუფში ჩარჩენა. გაბრაზებული მთავრობაც ადგა და თანამემამულეებს სულ რაღაც 21 ათასი ევრო ჩამოურიგა.

ლადო ხომერიკი

კარლ ვალდი

პენალტების პაპა ვალდი შვეიცარიას დასცინის

პენალტების სერია ბევრს უყვარს და ბევრსაც ეზიზღება, მაგრამ ვერავინ უარყოფს, რომ ეს უაღრესად დაძაბული და საინტერესო სანახაობაა. მატჩების ბედის თერთმეტმეტრიანებით გადაწყვეტის იდეა ყოფილ გერმანელ მწვრთნელ კარლ ვალდს ეკუთვნის. იგი ახლა 90 წლისაა და ვერაფრით გაუგია, როგორ მოახერხეს შვეიცარიელებმა და ინგლისელებმა სამი პენალტის გაცუდება.

კარლ ვალდი: „ისინი ნამდვილად ხელმოცარულები არიან. სკოლის გუნდი უკეთ დაარტყამდა პენალტებს, ვიდრე ეს შვეიცარიელებმა გააკეთეს. მათ კარს წესიერად ერთხელაც ვერ დაუმიზნეს. ინგლისელებისაც გამკვირვებია. რა ანერვიულებდათ და ასე ცუდად როგორ ურტყამდნენ? ეს ჩემთვის გაუგებარია".

პენალტები ფეხბურთში 1970 წლიდან დაინერგა, როდესაც ვალდმა თავისი იდეა პირველად სამშობლოში გაახმაურა. იმავე წელს თერთმეტმეტრიანების სერია ერთ-ერთ პატარა ტურნირზე გამოცადეს და მალევე იდეამ მოწონება დაიმსახურა. როგორც იცით, იქამდე საპლეიოფო მატჩებში გამარჯვებულის ვინაობას ჩვეულებრივი კენჭისყრა ანუ ლატარია წყვეტდა. აქვე შეგახსენებთ, რომ ჯერჯერობით მუნდიალის ფინალში პენალტების სერია მხოლოდ ერთხელ გახდა საჭიროა — 1994 წელს ბრაზილიამ იტალიას მოუგო.

„რა თქმა უნდა, ბედნიერი ვარ, რომ ახლა პენალტების სერია გვაქვს. ეს ძალიან ამაღელვებელი და საინტერესო სანახაობაა. ამის საწინააღმდეგო არავის არაფერი აქვს და თავის დროზე ჩემი სურვილიც ეს იყო. იდეამ გაამართლა." — დასძინა ვალდმა.

კოკი კანდელაკი

შიში ოხერია

გიმარაეში კოსტა რიკიდან გააქციეს

ალეშანდრე გიმარაეში კოსტა რიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელი აღარ არის. კონტრაქტის თანახმად, ეს 2010 წლამდე არ უნდა მომხდარიყო, მაგრამ ბრაზილიელმა სპეციალისტმა გადაწყვეტილება მას მერე მიიღო, რაც რამდენჯერმე მოკვლით დაემუქრნენ.

„პირველად უსიამოვნო ინციდენტი აეროპორტში მოხდა, როდესაც კოსტა რიკაში დავბრუნდით. ჩემზე თავდასხმა სურდათ და პოლიცია რომ არ ყოფილიყო, შესაძლოა, ცოცხალი ვერ გადავრჩენილიყავი. მუქარები შემდეგაც გაგრძელდა" — განაცხადა გიმარაეშმა.

კოსტარიკელი ფანები ნაკრების მუნდიალზე ცუდი თამაშით არიან უკმაყოფილონი და ამაში გიმარაეშს ადანაშაულებენ. შეგახსენებთ, რომ კოსტა რიკამ მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე სამივე მატჩი წააგო — გერმანიასთან 2:4, ეკვადორთან 0:3 და პოლონეთთან — 1:2.

ალეშანდრე გიმარაეში: „არ მინდა, ჩემი ოჯახი საფრთხის ქვეშ იყოს, გადაადგილების მეშინოდეს და დაცვით დავდიოდე. ამიტომ გუნდის დატოვება გადავწყვიტე. ფანებმა ვერ გაიაზრეს, რომ ამჟამინდელი ნაკრები იმ დონეზე არ იყო მზად, როგორც ჩვენი მეტოქეები და მეტის გაკეთება ვერ შევძელით."

გიორგი კაკაბაძე

ობიექტი

ცოდნა და ნიჭი არ იკარგება, თუნდაც მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპს ვერ გასცდეს, მას მაინც გამოუჩნდება შემფასებელ-დამფასებლები. სხვა თემაა, რამდენად შეაფასეს რუსებმა სამხრეთ კორეის ყოფილი თავკაცის დიკ ადვოკაატის სამწვრთნელო უნარი, აქ ის უნდა ითქვას, რომ სანკტ პეტერბურგში მიიწვიეს და ორნახევარი წლით ჩააბარეს იქაური „ზენიტი“.

კორეაც გავარდა და კიდევ ბევრი სხვაც, მაგრამ გერმანია ჯერაც ფეხბურთით სუნთქავს. მამიკო რომ გერმანიის დროშაში გამოახვევს შვილიკო მაქსიმილიანს, ეს არ უნდა გავიკვირვოთ, ევროპაში ეროვნულ დროშას დღეს პერანგის ამხანაგადაც ხშირად ხმარობენ. სამხრეთ გერმანიის მომცრო ქალაქ შტრაასაკერში სკულპტორი ნიკოლაუს კრუხტი აი, ასეთ ძეგლს უდგამს ფეხბურთს, რომელსაც სახელად ჰქვია „გლობალური ტერფი ბადენ-ვიურტემბერგში.

„ქუჩის ფეხბურთს“ მსოფლიოს ჩემპიონატიც კი გერმანიაში იმართება. ამ ფოტოზე შესარჩევ შეხვედრაში ერთმანეთს ავღანელი და სენეგალელი ქუჩის ფეხბურთელები ეთამაშებიან.



AFP სანკტ პეტერბურგიდან

AFP დორტმუნდიდან

AFP ბერლინიდან



AFP შტრაასკერიდან

სარბიელი ᲓᲐ ᲯᲠᲝᲯᲝ

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში						
		5 ივლისი						
23:00	415	საფრანგეთი-პორტუგალია	2.15	2.80	3.65	1.21	1.35	1.58
		რუსეთი						
		5 ივლისი						
19:00	923	მოსკოვი-შინიკი	1.55	3.40	6.00	1.06	1.23	2.17
		6 ივლისი						
19:00	840	ცსკა-ტორპედო	1.30	4.50	9.30	1.00	1.14	3.03
12:00	841	ენერგია-კრილია	2.20	2.90	3.20	1.25	1.30	1.52
19:00	842	ლოკომოტივი-სატურნი	1.75	3.20	4.40	1.13	1.25	1.85
19:00	843	ნალჩიკი-როსტოვი	2.15	3.00	3.00	1.25	1.25	1.50
20:00	844	ზენიტი-დინამო	1.45	3.80	6.00	1.04	1.16	2.32
		7 ივლისი						
19:00	845	სპარტაკი-ამკარი	1.40	3.80	7.00	1.02	1.16	2.46
19:00	846	რუბინი-ტომსკი	1.65	3.20	5.00	1.08	1.24	1.95
		ფინეთი						
		6 ივლისი						
19:30	864	ჰაკა-კუოპიო	1.40	4.00	7.00	1.03	1.16	2.54
19:30	865	ჰელსინკი-ჰონკა	2.30	3.20	2.75	1.33	1.25	1.47
19:30	866	მარიეჰამნი-ტურკუ	1.90	3.30	3.60	1.20	1.24	1.72
21:00	867	ვპს-მიუპა	3.60	3.30	1.90	1.72	1.24	1.20
		ნორვეგია. თასი						
		5 ივლისი						
20:00	798	ჰარსტადი-ლილესტრიომი	12.00	7.50	1.11	4.61	1.01	1.00
20:00	799	ბრანი-ლევანგერი	1.04	9.00	18.00	1.00	1.00	6.00
20:00	888	მნდალს.-ოდ გრენლანდი	6.50	4.90	1.30	2.79	1.08	1.02
20:00	889	ფოლო-მოლდე	6.00	4.80	1.35	2.66	1.10	1.05
20:00	890	ჰამ კამი-მოსი	1.40	4.50	5.50	1.06	1.11	2.47
20:00	892	ჰიონეფოსი-ვოლერენგა	5.50	4.10	1.45	2.34	1.14	1.07
20:00	893	კონსბერგერ-ფრედრიკსტადი	4.80	3.70	1.60	2.08	1.20	1.11
20:00	894	ლინი-პორს გრენლანდი	1.18	6.50	10.00	1.00	1.05	3.93
20:00	895	ლოვ ჰამი-ალესუნდი	3.70	3.60	1.80	1.82	1.21	1.20
20:00	897	ვიკინგი-მანგლერუდი	1.15	7.00	12.00	1.00	1.04	4.42
		6 ივლისი						
20:00	887	ბოდიო გლიმტი-ტრომსიო	2.70	3.20	2.30	1.46	1.24	1.33
20:00	891	ჰაუგესუნდი-სტარტი	4.80	3.80	1.55	2.12	1.17	1.10
		შვედეთი. თასი						
		6 ივლისი						
20:00	898	ფალკენბერგი-ვესბი	2.10	3.20	3.10	1.26	1.25	1.57
21:00	899	ჰალმსტადი-გეფლე	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
21:00	900	ტრელებორგი-იოსტერსი	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
21:00	901	ჰამარბი-ჰელსინგბორგი	1.90	3.20	3.50	1.19	1.23	1.67
19:00	922	ელფსბორგი-იურგორდენი	2.40	3.20	2.60	1.37	1.24	1.43
		ირლანდია. თასი						
		5 ივლისი						
23:00	797	შელბურნი-ფინ ჰერპსი	1.30	4.20	9.00	1.00	1.13	2.86

ჩოგბურთი.კაცები.უიმბლდონი

5 ივლისი

15:00	914	ნადალი-ი ნიემინენი	1.20	----------	3.80
15:00	915	ფედერერი-ანჩიჩი	1.03	----------	7.00
15:00	916	ხიუიტი-ბაგდატისი	1.35	----------	2.80
15:00	917	შტეპანეკი-ბიორკმანი	1.50	----------	2.35

ჩოგბურთი.კაცები.ბიელა. თიხნარი

5 ივლისი

13:00	903	დანიელი-ვასაიო არეუეიო	1.70	----------	1.90
13:00	908	როიტმანი-ზიბი	1.40	----------	2.45
13:00	909	სარეტა-ეშოერი	1.70	----------	1.90
13:00	910	სტარაჩე-გალვანი	1.55	----------	2.00

გაიხსნა ᲯᲠᲝᲯᲝᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲑᲘᲣᲠᲝᲔᲑᲘ: თბილისი – მოსკოვის გამზირი №6; ზესტაფონი – აღმაშენებლის №39; გარდაბანი – აღმაშენებლის №12

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10415	საფრანგეთი-პორტუგალია	2.45	1.90	3.90	1.07	1.50	1.27

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11415	საფრანგეთი-პორტუგალია	3.20	10.00	20.00	4.20	4.40	5.60	20.00	10.00	4.80

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15415	საფრანგეთი-პორტუგალია	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16415 საფრანგეთი-პორტუგალია --------- 1.50 ---- 2.30

გოლი:წყვილი-10უ კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

17415 საფრანგეთი-პორტუგალია --------- 1.85 ---- 1.95

რ.ოდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12415 საფრანგეთი-პორტუგალია --------- 1.50 ---- 2.40

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

13415 საფრანგეთი-პორტუგალია --------- 1.75 ---- 1.80

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე წსონი დაგებულად ჩაითვლება)

14415 საფრანგეთი-პორტუგალია ------ 1.70 -------- 1.85

ვინ დაიწყებს თამაშს

19415 საფრანგეთი-პორტუგალია --------- 1.85 ---- 1.85

ვინ მოაწვდის პირველ კუთხურს (ძირ. დრო)

20415 საფრანგეთი-პორტუგალია --------- 1.75 ---- 1.85

კუთხურების რაოდენობა (ძირ. დრო) 10,5

22415 საფრანგეთი-პორტუგალია --------- 1.70 ---- 2.00

ვინ მიიღებს პირველ გაფრთხილებას (ყ/წ) (ძირ. დრო)

21415 საფრანგეთი-პორტუგალია 1.85 10.00 1.75

იქნება თუ არა მატჩში პენალტი (ძირ. დრო)

23415 საფრანგეთი-პორტუგალია --------- 2.80 ---- 1.32

ვინ მოაწვდის პირველ აუტს

24415 საფრანგეთი-პორტუგალია --------- 1.80 ---- 1.80

შემდეგ ეტაპზე გასვლა

18415 საფრანგეთი-პორტუგალია --------- 1.55 ---- 2.30

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

დინამომ 0:2 ამოიღო

გუშინ ავსტრიულ შეკრებაზე მყოფმა თბილისის „დინამომ“ კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი გამართა და იქაური „კერნტენი“ 3:2 დაამარცხა, არადა, 0:2 აგებდა.

თბილისელებმა საწყის 26 წუთში გაუშვეს ორი ბურთი — ჯერ ტომა იხეირა სწრაფი კონტრშეტევისას, მერე კი სანდმა გამოიყენა ხელსაყრელი მომენტი.

„დინამომ“ ერთი ბურთი ტაიმის ბოლოს გაქვითა — მიხეილ ბობოხიძემ პენალტი მოინადირა და თავადვე ზუსტად შეასრულა.

72-ე წუთზე სანდრო იაშვილის დარტყმული მეკარემ მოიგერია, თუმცა ზამირ ჯანაშიამ საგოლედ დაამატა და 2:2.

დინამოელებს შეტევები არც ამის შემდეგ დაუკლიათ მეტოქისთვის და 79-ე წუთზე ირაკლი ჩირიკაშვილმა 30-35 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით იყოჩაღა — 2:3.

„დინამოს“ სასტარტო შემადგენლობა ასეთი იყო: *ლორია, ამბროზიო, შ. კაშია, თომაშვილი, ს. კობახიძე, გრიგალაშვილი, ხუციშვილი, მერებაშვილი, ნერგაძე, ბობოხიძე, დვალი.*

კახა შალამბერიძე

ონიანს არა, ნოზაძეს?

ლაშა ნოზაძეს (მარჯვნივ) ისრაელში დარჩენის კარგი შანსი აქვს

ფოტო: ალექსანდრე ბერეზოვსკის

რამდენიმე დღის წინ გაუწყეთ, რომ თბილისის „დინამოს“ ექსკაპიტანი ლაშა ნოზაძე და „ბათუმიდან“ წასული მცველი გიორგი ონიანი ისრაელში წავიდნენ — ნოზაძე და ონიანი თელ ავივის „ჰაპოელში“ ისინჯებოდნენ.

ებრაელებმა ონიანის აყვანა საჭიროდ არ ჩათვალეს და გიორგიც „ჰაპოელიდან“ წამოვიდა.

რაც შეეხება ნოზაძეს, ის კვლავ „ჰაპოელშია“ და მისი საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არ არის. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ, რადგან ნოზაძე ჯერ ისევ იქ არის, მის ტრანსფერს „ჰაპოელში“ კარგი პირი უჩანს.

დავით თავართქილაძე

ჩიხურამ აჭარამდე სულთანიშვილი დაიმატა

უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა საჩხერის „ჩიხურამ“ კიდევ ერთი ფეხბურთელი დაიმატა — 27 წლის საბა სულთანიშვილი, ვინც ბოლოს „ცხინვალში“ თამაშობდა. „ჩიხურას“ პრესატაშე ნუკრი ლოლაძემ ისიც გვითხრა, რომ გუნდი ახალი სეზონისთვის კიდევ აპირებს ერთი-ორი ფეხბურთელით გაძლიერებას.

„ჩიხურა“ ახლა ჭიათურაშია შეკრებაზე, 7 ივლისს აგარის „მეშაქრეს“ გაეჯიბრება, 9 ივლისს ჭიათურის „მაღაროელს“, ხოლო 10 ივლისიდან ზღვისპირეთში, სავარაუდოდ, აჭარაში გაგრძელებს მოახლოებული სეზონისთვის მზადებას.

დავით თავართქილაძე

თბილისი კახელიშვილითაც ძლიერდება

ინგლისელისგან ჰასუხი დღე-დღეზე იქნება

„**თბილისი**“, რომელიც „ბათუმიდან“ წასულ ფეხბურთელებთან ერთად რუსთავის „ოლიმპად“ უნდა გარდაქმნილიყო, ახლა გრიგოლეთშია და ნოდარ აკობიას ხელმძღვანელობით ემზადება ახალი სეზონისთვის. რაც შეეხება რუსთავის „ოლიმპის“ შექმნის იდეას, „თბილისმა“ კლუბის იურიდიული მონაცემები გაუგზავნა იმ ინგლისელ ბიზნესმენს, ვისი იდეაც იყო „თბილისის“ ბაზაზე რუსთავის „ოლიმპის“ შექმნა.

„თბილისის“ მესვეურმა მამუკა გუგეშაშვილმა გვითხრა, რომ ინგლისური მხარისგან საბოლოო პასუხი ორ-სამ დღეში იქნება.

თუ „თბილისი“ და ინგლისელი ბიზნესმენი ვერ მორიგდებიან, „თბილისი“ სხვა სპონსორს გამოძებნის და ექსბათუმელ ფეხბურთელებსაც დაიტოვებს.

„თბილისში“ გრიგოლეთურ შეკრებაზე არიან ლაშა ქებაძე და გიორგი სეთურიძე — ისინი წინა სეზონის მეორე წრეში თბილისის „ლოკომოტივმა“ გაანათხოვრა „ბათუმში“. თბილისელებთანაა გიორგი კახელიშვილიც, ვინც წინა სეზონის „ლოკომოტივში“ ყველაზე პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლებოდა. ახლა მიდის მოლაპარაკება იმაზე, რომ სეთურიძემ, ქებაძემ და კახელიშვილმა „თბილისში“ განათხოვრებით ითამაშონ.

დავით თავართქილაძე



გუშინ ფოლადაშვილის ფოტო

ჩვენ ერთი გუნდი ვართ

საქართველოს ეროვნული ნაკრების ოფიციალური ფან-ჯგუფში გასანევრიანებელი აპლიკაცია

სახელი: .....

გვარი: .....

დაბადების თარიღი: .....

ბელეფონი: .....

ელ-ფოსტა: .....



ბაბრი ალექსიძის ფოტო

ეს ბანანცი ის ბანანცი არ გეგონოთ

საქართველოს თასის მფლობელმა თბილისის „ამერმა“ 2006-07 წლების სეზონისთვის მზადება ბაკურიანული შეკრებით დაიწყო. „ამერი“ იქ ფიზიკურად ემზადებოდა, მერე კი ჩეხეთში გაემგზავრა და იქაური შეკრება გუშინ დაასრულა.

„ამერის“ მთავარ მწვრთნელ გიორგი ჩიხრაძეს გუშინ ჩეხეთში თბილისში გამომგზავრების წინ დავუკავშირდით...

— აქ ერთი პრობლემა შეგვექმნა — სასურველი რაოდენობის საკონტროლო მატჩები ვერ ვითამაშეთ. ექვსი თამაში გვქონდა დაგეგმილი — ოთხი „ამერის“ პირველი გუნდისთვის, ორიც მეორისთვის. საბოლოოდ, მხოლოდ ორი მატჩის გამართვა მოხერხდა პირველი გუნდისთვის. ორგანიზაციული პრობლემები იყო, მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატმაც ხელი შეგვიშალა სპარინგ-პარტნიორების გამოძებნაში.

— „ამერში“ ორი ახალწვეულია — გუნდში დაბრუნებული გიზო ჯელაძე და იური გაბისკირია — რამდენად კმაყოფილი ხართ?

— ორივე კარგ ფორმაშია და საერთოდ, ყველა ამერელმა შეკრებაზე კეთილსინდისიერად იმუშავა, გუნდში მართლაც კარგი განწყობაა.

— 35 წლის გაბისკირია როგორც მოთამაშე უფრო გჭირდებათ, თუ როგორც მწვრთნელი?

— გაბისკირია გვჭირდება, როგორც მოთამაშე-მწვრთნელი, რადგან, როცა მწვრთნელი ფეხბურთელებთან ერთადაა მოედანზე, ეს ძალიან მნიშვნელოვანია — ასეთ დროს მწვრთნელს ფეხბურთელებთან ურთიერთობა აქვს მოედანზეც და მოედანს მიღმაც.

— ახალი სეზონისთვის გუნდის დაკომპლექტება ამით დასრულებულია?

— შეიძლება ითქვას, კი. ამ ეტაპზე ტრანსფერებზე არ ვმუშაობთ. იმედი მაქვს, „ამერის“ ახალგაზრდა ფეხბურთელები წინსვლას გააგრძელებენ, ხოლო სხვა ფეხბურთელების კვალიფიკაცია გაიზრდება.

— ახალი სეზონი „ამერს“ 13 ივლისს ეწყება უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე სომხურ „ბანანცთან“ პირველი მატჩით — მანამდე მოასწრებთ რამდენიმე საკონტროლო შეხვედრის გამართვას?

— ვეცდებით, „ბანანცთან“ მატჩამდე დარჩენილი დროც გამოვიყენოთ საამისოდ და „ბანანცთან“ პირველი თამაშის შემდეგაც ვიზრუნებთ ამაზე.

— „ბანანცთან“ 13 ივლისის მატჩამდე „ამერი“ თბილისშიც შეკრებაზე იქნება?

— არა, მაგრამ კვირაში ორჯერ გვექნება ორჯერადი ვარჯიშები. შეკრებაზე კი „ბანანცთან“ მატჩისთვის ალბათ 11 ივლისიდან გადავალთ.

— „ამერი“ საკუთარ ბაზაზე, საგურამოში გააგრძელებს სეზონისთვის მზადებას?

— ბაზაზე ჯერ ვერ ვიცხოვრებთ, თუმც მოედანზე ვარჯიში უკვე შესაძლებელია და ჩვენც იქ ვივარჯიშებთ.

— თუ „ამერი“ „ბანანცს“ გაივლის, ეს მისთვის უკვე წარმატება იქნება ევროსარბიელზე?

— მაქსიმალურად ვეცდებით „ბანანცის“ დამარცხებას, ამის რეალური შანსი გვაქვს. ეს „ბანანცი“ შარშანდელი „ბანანცი“ არ გეგონოთ, მნიშვნელოვნად გაძლიერებულია და მწვრთნელიც სხვა ჰყავს. თუ „ბანანცის“ ბარიერს ვერ გადავლახავთ, ამაში პოზიტიური მხოლოდ ის იქნება, რომ გამოცდილებას შეივიტანთ და ჩვენი სუსტი მხარეები კარგად გამოჩნდება.

— „ამერი“ მეთვრამეტე ეროვნულ ჩემპიონატში მხოლოდ და მხოლოდ ჩემპიონობისთვის იბრძოლებს?

— საკითხი ასე კატეგორიულად არ დგას, კლუბის ხელმძღვანელობისგან ასეთი მოთხოვნა არ ყოფილა.

— სადებიუტო უმაღლესლიგურ სეზონში „ამერი“ მე-7 ადგილზე გავიდა...

— მეშვიდე ადგილი წარუმატებლობად უნდა ჩაითვალოს მიუხედავად იმისა, რომ სეზონის ბოლოს აქცენტი თასზე გადავიტანეთ. ახლა კონკრეტული მიზანი ჩემპიონობა არ არის, მაგრამ აქცენტი სწორედ ჩემპიონობისთვის ბრძოლაზე გაკეთდება.

დავით თავართქილაძე

ლაშა ჯაკობიას ხარკოვის „მეტალისტიდან“ წასვლა რომ სურს, არახალია, მაგრამ იგი ჯერაც „მეტალისტშია“, გუნდთან ერთად ვარჯიშობს და საკონტროლო მატჩებშიც თამაშობს. სიტუაციაში უკეთ გასარკვევად ჯაკობიას ხარკოვში დავუკავშირდით...

თუ არ გამიშვებთ, ვერაფერს აიღებთ

ჯაკობიას მეტალისტური ამბავი

— არა მგონია, „მეტალისტში“ დავრჩე. გუნდთან იმიტომ ვარ, რომ კარგ ფორმაში ვიყო. კონტრაქტით „მეტალისტს“ კიდევ ხუთი თვე ვეკუთვნი, ხელშეკრულების გაგრძელება შემომთავაზეს, მაგრამ უარი ვთქვი. უკვე არის რეალური დაინტერესება სხვა კლუბებიდან, მეტიც, მიმდინარეობს მოლაპარაკება ჩემ მოსურნე კლუბებსა და „მეტალისტს“ შორის. ევროპის ერთ-ერთი სოლიდური კლუბი იყო დაინტერესებული ჩემით, მაგრამ „მეტალისტთან“ სატრანსფერო თანხაზე ვერ მორიგდა.

...მოკლედ, მაქვს შემოთავაზებები უკრაინიდან, რუსეთიდან და ევროპიდანაც. წესით, „მეტალისტიც“ დაინტერესებული უნდა იყოს ჩემი ტრანსფერით, და არარეალური თანხა არ უნდა მოითხოვოს, რადგან ხუთი თვის შემდეგ თავისუფალი აგენტი გავხდები და მერე რომ წავალ სხვა გუნდში, „მეტალისტი“ ჩემში ვერაფერს აიღებს. ერთი სიტყვით, ყველაფერი დღე-დღეზე გადაწყდება.

რაც შეეხება „მეტალისტში“ გასინჯვაზე მყოფ სერგო ორბელაძეს, ჯაკობიამ გვითხრა, რომ ჯერჯერობით ყველაფერი ნორმალურად მიდის, ორბელაძე რიგიანად გამოიყურებაო.

დავით თავართქილაძე

ალექსანდრე ჩივაძე

სლავა მეტრეველი და ანზორ კავაზაშვილი პელესთან ერთად

გივი ჩოხელი

ქართველების მსოფლიო თოთხმეტზე გაჩერდა

გაგრძელება იქნება?

ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატებში 1958-1990 წლებში მონაწილეობდა. ამ პერიოდში საბჭოთა ნაკრები შვიდჯერ — 1958, 62, 66, 70, 82, 86 და 90 წლებში გავიდა ფინალურ ეტაპზე.

1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში საბჭოთა კავშირმა პოლიტიკური მოტივით უარი განაცხადა ჩილესთან სტუმრობაზე (პირველი შეხვედრა მოსკოვში 0:0 დამთავრდა). ამის გამო ფიფამ საბჭოთა ნაკრებს წაგება ჩაუთვალა და ფინალურ ეტაპზე ჩილე გავიდა.

რაც შეეხება 1978 წლის ჩემპიონატის შესარჩევს — საბჭოთა ნაკრები ევროპის ზონის მე-9 ჯგუფში უნგრეთთან და საბერძნეთთან დამარცხდა და მუნდიალიც განზე დარჩა.

შვიდი მსოფლიოს ჩემპიონატიდან ქართველმა ფეხბურთელებმა ოთხში ითამაშეს — 1962 წელს ჩილეში, 1966 წელს ინგლისში, 1970 წელს მექსიკაში და 1982 წელს ესპანეთში.

1962 წელს მსოფლიოს მე-7 ჩემპიონატზე საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში სამი ქართველი იყო — სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი და გივი ჩოხელი.

საბჭოელებმა ჯგუფში დაამარცხეს იუგოსლავია (2:0) და ურუგვაი (2:1), 4:4 ითამაშეს კოლუმბიასთან და გავიდნენ მეოთხედფინალში, სადაც მასპინძელ ჩილესთან 1:2 დამარცხდნენ. ამ თამაშში მონაწილეობდა ორი ჩვენიანი — მესხი და ჩოხელი. სულ ამ ჩემპიონატში მესხმა და ჩოხელმა 3-3 თამაში ჩაატარეს, მეტრეველმა კი — 1.

1966 წლის ჩემპიონატში ნაკრების შემადგენლობაში ოთხი ქართველი გახლდათ — სლავა მეტრეველი, მურთაზ ხურცილავა, გიორგი სიჭინავა და ანზორ კავაზაშვილი.

საინტერესოა, რომ ამ მუნდიალზე საბჭოთა ნაკრებმა თავისი საუკეთესო შედეგი აჩვენა — ნახევარფინალში გავიდა.

საბჭოთა ფეხბურთელებმა ჯგუფში დაამარცხეს ჩილე (2:1), კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა (3:0) და იტალია (1:0) და პირველი ადგილი დაიკავეს; მეოთხედფინალში 2:1 მოუგეს უნგრეთს; ნახევარფინალში კი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან 1:2 წააგეს, რასაც მე-3 ადგილისთვის მატჩში პორტუგალიასთან 1:2 მარცხიც მიაყოლეს და საბოლოოდ მეოთხე ადგილს დასჯერდნენ.

ამ ჩემპიონატში ხურცილავამ 3, სიჭინავამ, კავაზაშვილმა და მეტრეველმა კი 2-2 მატჩი ჩააატარეს.

1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონატში საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მეოთხედფინალამდე მიაღწია.

ჯგუფში ბელგია (4:1) და სალვადორი (2:0) დაამარცხეს, 0:0 ითამაშეს მექსიკასთან. მეოთხედფინალში კი ურუგვაის შეხვდნენ — ძირითადი დრო 0:0 დამთავრდა, ხოლო დამატებითში ურუგვაელებმა გადამწყვეტი გოლი გაიტანეს.

საბჭოთა ნაკრებში ამ ჩემპიონატზე ხუთმა ქართველმა ითამაშა — ანზორ კავაზაშვილი (4 მატჩი), კახი ასათიანი, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა (3-3), გივი ნოდია (1). განაცხადში იყო, მაგრამ არ უთამაშია მეტრეველს.

1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე საბჭოთა ფეხბურთელებმა ჯგუფში ბრაზილიის შემდეგ მე-2 ადგილი დაიკავეს.

საბჭოთა ნაკრებმა 3:0 დაამარცხა ახალი ზელანდია, 2:2 ითამაშა შოტლანდიასთან და 1:2 დამარცხდა ბრაზილიასთან.

მეოთხედფინალურ ჯგუფში საბჭოთა კავშირი პოლონეთთან და ბელგიასთან მოხვდა და მართალია, არ დამარცხებულა, მუნდიალს მაინც გამოეთხოვა — საბჭოთა ნაკრებმა 0:0 ითამაშა პოლონეთთან, 1:0 დაამარცხა ბელგია, თუმც ბურთების უკეთესი შეფარდებით (3:0) ნახევარფინალში პოლონეთი გავიდა.

1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატში ოთხი ქართველი მონაწილეობდა — ალექსანდრე ჩივაძე, რამაზ შენგელია (5-5 მატჩი), თენგიზ სულაქველიძე და ვიტალი დარასელია (4-4).

მსოფლიოს ჩემპიონატებზე 13 ქართველს უთამაშია. სულ ჩატარდა 17 „ქართული“ მატჩი, გოლებით კი გამოირჩნენ: 1966 წელს პორტუგალიასთან სლავა მეტრეველი, 1970 წელს ბელგიასთან კახი ასათიანი, 1982 წელს შოტლანდიასთან ალექსანდრე ჩივაძე და რამაზ შენგელია.

ქართველთაგან მსოფლიოს ჩემპიონატებზე ყველაზე მეტი, 6 შეხვედრა ჩაატარეს კავაზაშვილმა და ხურცილავამ; 5-5 — ჩივაძემ და შენგელიამ; 4-4 — სულაქველიძემ, ასათიანმა და დარასელიამ; 3-3 — მესხმა, მეტრეველმა, ძოძუაშვილმა, ჩოხელმა; 2 — სიჭინავამ; 1 — ნოდიამ.

ერიკ ნაცვლიშვილი

P.S. კიდევ ერთი ქართველი, რომელსაც რუსეთის ნაკრების შემადგენლობაში 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ორჯერ უთამაშია, ომარ თეთრაძეა. ახრიკ ცვეიბა კი 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე საბჭოთა კავშირის ნაკრებს ახლდა, თუმცა მოედანზე არ გასულა.

გიორგი სიჭინავა

კახი ასათიანი

მიხეილ მესხი

ვიტალი დარასელია

მურთაზ ხურცილავა

რევაზ ძოძუაშვილი

გივი ნოდია

რამაზ შენგელია

ორი ტურნირი ერთ დარბაზში

მოჭიდავეები სტუმრების სიას ადგენენ



15-16 ივლისს სპორტის სასახლე ერთდროულად მოჭიდავეთა ორ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს. დარბაზში ორი ხალიჩა გაიშლება. ერთზე თავისუფალი სტილის მიმდევრები გავლენ და ვახტანგ ბალავაძის თასს გაითამაშებენ, მეორეზე კი ბერძენ-რომაელები იჭიდავებენ გივი კარტოზიას თასისთვის. წინასწარი ინფორმაციით, ამ ტრადიციულ პირველობებზე ათზე მეტი ნაკრები უნდა ჩამოვიდეს, თუმც კონკრეტული პასუხი ჯერ მხოლოდ რამდენიმე ქვეყნიდან არის მოსული. საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის ხელმძღვანელები აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებენ უცხოურ ფედერაციებთან და სავარაუდო სტუმართა რაოდენობაც დღითი დღე მატულობს. საბოლოო შემადგენლობები ტურნირის დაწყებამდე 3-4 დღით ადრე გახდება ცნობილი.

ფედერაციის გენერალური მდივანი ომზარ შოშიტაშვილი:

„სომხეთი, აზერბაიჯანი, ირანი, უკრაინა, ისრაელი, რუსეთი — ეს ის ქვეყნებია, რომელთა ნაკრებებიც თბილისში აუცილებლად ჩამოვლენ. თითქმის მოგვარებულია საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინდოეთის ჩამოსვლის საკითხიც, მაგრამ ისინი, სავარაუდოდ, არასრული შემადგენლობით იჭიდავებენ. ამჟამად მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ უზბეკეთის და თურქეთის ფედერაციებთან. უახლოეს დღეებში კი შესაძლოა, ახალი მსურველებიც გამოჩნდნენ. ჯერ ხომ ტურნირამდე თერთმეტი დღე რჩება. წინასწარი გათვლებით, 120 უცხოელ მოჭიდავეს, მწვრთნელს და მსაჯს ველით. არ გამოვრიცხავ, ეს რიცხვი საგრძნობლად გაიზარდოს.

...თურქეთის ნაკრები თავიდან საბრძოლო შემადგენლობის ჩამოყვანას აპირებდა, მაგრამ მერე რატომღაც გადაიფიქრეს და ამიტომაც გახდა საჭირო მოლაპარაკების თავიდან წამოწყება. სამწუხაროდ, პირველი გადაწყვეტილება შეცვალეს რუსებმაც. ნაკრების პირველი ნომრები აღარ მოჰყავთ და მხოლოდ კანდიდატების გამოცდას აპირებენ, თუმც, დარწმუნებული ვარ, ეს შემადგენლობაც ძალიან ძლიერი იქნება. მსოფლიო დონის ვარსკვლავებს სპორტის სასახლეში მოსულები მაინც ნახავენ. ირანისა და უკრაინის გუნდები უძლიერესი შემადგენლობების დაყენებას გეგმავენ. მათ თავიანთ რიგებში მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონ-პრიზიორებიც ჰყავთ. დელეგაციები ჩამოსვლას 13 ივლისიდან დაიწყებენ. აქედანვეა ცნობილი სასტუმროები, რომლებშიც სტუმრები იცხოვრებენ.

...საქართველოს ნაკრებები ბალავაძის და კარტოზიას ტურნირებზე გაფართოებული შემადგენლობებით გამოვლენ. თავისუფლებიც და ბერძენ-რომაელებიც 42-42 კაცს დააყენებენ. მოგეხსენებათ, ამ ტურნირებს ჩვენთვის დამატებითი დატვირთვაც აქვს. სექტემბერში მსოფლიოს ჩემპიონატი გველის და ნაკრებო ბირთვი ახლა უნდა გამოიკვეთოს. დამატებითი სტიმულია საპრიზო ფონდიც. ჩემპიონები ათას დოლარს მიიღებენ, მეორეადგილოსნები — ხუთასს, მესამეები — სამასს. სამასი დოლარით დასაჩუქრდებიან ჩემპიონთა პირადი მწვრთნელებიც. შარშან მოგებულ თანხებს მოჭიდავეები მთლიანად ვერ იღებდნენ. პროცენტები ექვითებოდათ, წლეულს აღარ და ასე აღარ იქნება. მოკლედ, თუ 15-16 ივლისს სპორტის სასახლეში მოხვალთ, ნამდვილად არ ინანებთ. დასწრება უფასოა“.

ოთარ მაღლაკელიძე

ზურაბ კახაბრიშვილი

ფრონტერას ჩინური ფრონტი

სპორტულ მედიცინას ახალი შეფი ჰყავს

საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის პრეზიდენტი და ჩვენი ოლიმპიური ნაკრების მთავარი ექიმი ზურაბ კახაბრიშვილი პეკინიდან დაბრუნდა. 2008 წლის ოლიმპიადის მასპინძელმა ქალაქმა გასულ კვირაში მსოფლიოს სპორტული მედიცინის კონგრესს უმასპინძლა და მასზე ყველა ქვეყნის სპორტულმა მედიკოსებმა მოიყარეს თავი. ცხადია, კონგრესის ერთ-ერთი მიზეზი წინასაოლიმპიადო სამზადისის შესახებ საუბარი და სამედიცინო მითითებები იყო. ორგანიზატორები აქედანვე აფრთხილებენ ნაკრებთა მთავარ ექიმებს, სპორტსმენები მაქსიმალურად სუფთად მოამზადონ. დოპინგის მომხმარებელთა წინააღმდეგ კი უმკაცრეს ზომებს მიიღებენ. კონგრესი მსოფლიოს სპორტული მედიცინის საპრეზიდენტო არჩევნებით დასრულდა.

„ახალ პრეზიდენტად პუერტორიკოელი ვილიამ ფრონტერა ავირჩიეთ — გვითხრა გუშინ კახაბრიშვილმა — სწორედ, იგი იქნება პეკინის ოლიმპიადის ძირითადი პასუხისმგებელი პირი სამედიცინო სფეროში. თქმაც არ უნდა, რთული სამუშაო ელის. აკრძალული პრეპარატების წინააღმდეგ ბრძოლას ჩინეთში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა.“

არჩევნებამდე კახაბრიშვილს და მის უცხოელ კოლეგებს სპორტული რეაბილიტაციის სამდღიანი კურსები ჩაუტარეს, ბოლოს კი სერთიფიკატებიც გადასცეს.

„გამორჩეული ყურადღება კვლავ დოპინგს დაეთმო. მასზე და სპორტსმენთა სწორ კვებაზე ცალკე ლექციები ჩატარდა. კონგრესის ორგანიზატორებმა ერთხელაც გაგვაფრთხილეს, საქმე პროფესიულად ვაკეთოთ და ნებისმიერ საეჭვო სიტუაციაში დაუყოვნებლივ ვაცნობოთ, თუ რა პრეპარატები გამოვიყენეთ. დაგვათვალიერებინეს და შეგვასწავლეს ახალი აპარატურა. თან იქვე დაგვპირდნენ, რომ ცალკე გამოყოფენ სამედიცინო ოთახებს, რომლებშიც ჩვენს აპარატურასაც დავამონტაჟებთ.“

ოლიმპიური გუნდის მთავარ ექიმს ის მოედნები და დარბაზებიც მოუნახულებია, რომლებმაც ოლიმპიურ თამაშებს უნდა უმასპინძლონ და ცალკეული სახეობების ფედერაციებისთვის საგულისხმო რჩევებიც ჩამოუტანია. პეკინური შთაბეჭდილებების გაზიარების შემდეგ კახაბრიშვილმა დამფინანსებლებიც ახსენა — ჩინეთში წასვლაში კომპანია „ავერსის“ გენერალური დირექტორი პაატა კურტანიძე, ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი და ვიცეპრეზიდენტი ლერი ხაბელოვი დამეხმარნენ და მადლობა გადაუხადა მათ.

ოთარ მაღლაკელიძე

სტუდენტთა მე-18 მსოფლიოს ჩემპიონატი

გდანსკი. პოლონეთი

საქართველო — ჩეხეთი 30:25

პირველი მოგებაც მოვიდა

გდანსკში მიმდინარე სტუდენტ ხელბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გუშინ საქართველოს ნაკრებმა პირველი გამარჯვება მოიპოვა. მერაბ მეტრეველის ბიჭებმა უმძიმეს ბრძოლაში ჩეხეთის გუნდს სძლიეს.

ამჯერადაც თითქმის მთელი პირველი ტაიმი თანაბარი ბრძოლა ყოფილა, შესვენებაზე კი ჩეხები ორბურთიანი უპირატესობით წავიდნენ. მერე მათი სხვაობა ხუთ გოლამდე გაიზარდა და თითქოს მატჩის ბედიც გადაწყვეტილი ჩანდა, მაგრამ ჩვენებმა, უმთავრესად დაცვაში ჩინებული თამაშით და შედეგიანი იერიშებით არათუ გააბათილეს ამხელა ჩამორჩენა, გარდატეხა შეიტანეს თამაშში და საბოლოოდ თავად გაიმარჯვეს იგივე სხვაობით — 30:25.

მეტრეველი, ბუნებრივია, გუნდის ყველა წევრის თამაშით კმაყოფილია, თუმც მაინც გამორჩეულად აღნიშნა 18 წლის რატი მსხვილიძის წვლილი საერთო წარმატებაში. მსხვილიძის გარდა უნდა აღინიშნოს სერგო დათუკაშვილის მორიგი შედეგიანი თამაში. მან ამჯერად 9 გოლი მიითვალა.

ჩვენს ქვეჯგუფში გუშინდელი მატჩებიდან ყველაზე მწვავე იყო მანამდე წაუგებლების, პოლონეთ — იაპონიის დაპირისპირება.

თავიდანვე აზიელი ხელბურთელები გაიჭრნენ წინ — 11:6, თუმც მასპინძლებმა ტაიმის მიწურულს ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირეს — 15:16, შესვენების შემდეგ კი ანგარიში სამჯერ გაათანაბრეს, მაგრამ დაწინაურება ერთხელაც ვერ მოახერხეს. ამომავალი მზის ქვეყნელებმა ზედიზედ მესამე მოგება იზეიმეს — 29:28 და კიდევ ერთი საჩემპიონო ნაბიჯი გადადგეს.

გია ახალაძე

B ჯგუფი

იაპონია	3	0	0	99:85	6
უნგრეთი	2	0	1	85:88	4
პოლონეთი	1	1	1	86:83	3
საქართველო	1	1	1	75:74	3
ჩეხეთი	1	0	2	87:98	2
ხორვატია	0	0	3	84:98	0

მედალზე მერე ვიფიქროთ

პალმა დე მალიორკაში მიმდინარე ახალგაზრდა წყალში მხტომელთა ევროპის პირველობაზე, როგორც ვიუწყებოდით, თბილისელი შოთა კორახაშვილი კომკიდან ასპარეზობაში ფინალში მეხუთე შედეგით შევიდა. კორახაშვილი ფინალური ნახტომების მერეც იმავე ადგილზე დარჩა, რაც საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობას კარგ შედეგად მიაჩნია. გუნდის თავკაცები ასეთი შეფასებისას იმასაც ითვალისწინებენ, რომ ეს ჩემპიონატი 19 წლამდე ასაკის სპორტსმენებისთვის ტარდება, ჩვენი წყალში მხტომელები კი, მათ შორის შოთა კორახაშვილიც, 15-16 წლისანი არიან და სამომავლოდ, ეტყობა, ისინი ამ პირველობის მედალოსნებიც გახდებიან.

გუშინ მხარდაშავებული თბილისელი გიორგი გეკორქიანი 3-მეტრიანი ტრამპლინიდან შეჯიბრებაში ჩაება, ოღონდ, როგორც ფიქრობდნენ, მხოლოდ ერთი ნახტომი შეასრულა და ბრძოლას გამოეთიშა. როგორც საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ირაკლი ბართაიამ გვითხრა, გეკორქიანს ტრავმა იმდენად აწუხებს, რომ ტკივილს გამაყუჩებლებითა და ყინულით ებრძვის, ის ერთადერთი ნახტომი კი მხოლოდ იმიტომ შეასრულა, რომ შეჯიბრებაში გამოსვლა ჩათვლოდა და გუნდი დაჯარიმებისგან ეხსნა.

თუმცა, ჩვენი გუნდის ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ მალაიზიაში გასამართ ახალგაზრდულ მსოფლიოს ჩემპიონატამდე გიორგი გეკორქიანს ტრავმა მოუშუშდება და იქ ჭოლა ჭანტურიასთან ერთად სინქრონულ ხტომებში გამოსვლასაც ძველებურად შესძლებს.

ამთანდილ ბუკიშელი



ბიგ ბენი ჩიკაგოში ჩამოჰკრავს

ბოლო ოთხ სეზონში სულ ცოტა პლეი ოფის აღმოსავლეთის ფინალში გასული, აქედან ორჯერ მთავარ ფინალში ნათამაშები და მათგან ერთის მომგები „დეტროიტ პისტონზი“ ალბათ მომავალ სეზონშიც მოინახულებს პლეი ოფს. აი, საჩემპიონო შანსებზე კი რაღა მოგახსენოთ, ისეთი ბურჯი გამოეცილა ამ გუნდს.

ექვსი წლის განმავლობაში „პისტონზის“ შეუცვლელმა ცენტრმა, ოთხგზის ოლსტარელმა და ამდენჯერვე სეზონის საუკეთესო დამცველად დასახელებულმა ბენ ვოლესმა კლუბის პრეზიდენტ ჯო დუმარსს უარი უთხრა კონტრაქტის განახლებაზე და თავისუფალი აგენტის სტატუსით „ჩიკაგო ბულზს“ მიაშურა, რითაც ამ ახალი გუნდის ამბიცია გვარიანად დაამძიმა.

ვოლესმა უარი თქვა „დეტროიტში“ კიდევ ოთხი წლით 50 მილიონად დარჩენაზე. ამგვარად, მან პირველმა დატოვა „პისტონზის“ წლების განმავლობაში თითით საჩვენებელი და სამაგალითო სასტარტო ხუთეული, რომელიც მის გარდა რაშიდ ვოლესისგან, ჩონსი ბილაფსისგან, ტაიშონ პრინსისა და რიჩარდ ჰამილტონისგან შედგებოდა.

„დეტროიტის“ მადლობელი ვარ იმისათვის, რაც ამ კლუბმა ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის გააკეთა. აქ შევძელი წარმომჩინა ჩემი თავი, ჩვენ ყველას კი ჩემპიონობის მოპოვების საშუალება მოგვეცა, მაგრამ ახლა წასვლის დროა“ — ასე გამოემშვიდობა „ბიგ ბენი“ მისი წასვლით ცოტა ნირწამხდარ ავტოქალაქს.

ნბა-ს ერთ-ერთი საუკეთესო მეფარე და უძლიერესი დამცველი ბოლო სეზონში საშუალოდ 7,3 ქულასთან ერთად იხვეჭდა 11,3 მოხსნას, 2,2 დაფარებას და 1,8 ჩაჭრას და ამ სამივე მაჩვენებელით სეზონის 10 საუკეთესოს შორის შევიდა. ვოლესი ჯერ 31 წლისაა, ასე რომ, კიდევ შეუძლია უმაღლეს დონეზე თამაში და ახალგაზრდა ვარსკვლავებთან ერთად იქნებ „ჩიკაგოს“ მაისურითაც მიეცეს ჩემპიონობასთან გათამაშების შანსი. მთავარია, მან თვითონ აკეთოს ის, რაც აქამდე ყველა სხვაზე უკეთ აკეთებდა — შავი სამუშაო.

„დეტროიტზე“ გაცილებით უკეთ ახერხებს საკუთარი თავისუფალი აგენტების შენარჩუნებას „დენვერ ნაგიტსი“. რამდენიმე დღის წინ გუნდის ლიდერ კარმელო ენტონისთვის 5-წლიანი და 80-მილიონიანი კონტრაქტის დადების შემდეგ კოლორადოელებმა კიდევ ბევრი, კონკრეტულად კი 60 მილიონი გაიღეს, მეორე წამყვანი მოთამაშე, ბრაზილიელი მეფარე ნენე კიდევ 6 წლით რომ დაეტოვებინათ. მართალია, ნენემ წინა სეზონში მხოლოდ სამი წუთი ითამაშა — პირველივე თამაშში ისე დაიმტვრა, რომ დღემდე იშუშებს მუხლს. თუმცა ამის მიუხედავადაც კლუბის ბოსებმა კენიონ მარტინს ბრაზილიელი ამჯობინეს. მარტინს ალბათ გაუშვებენ, მის აყვანის სურვილს კი ვიცე-ჩემპიონი „დალას მავერიკსი“ გამოთქვამს.

ადრე ნენე ილარიოდ წოდებული, ახლა კი უბრალოდ ნენე ჩვენებური ნიკა ცქიტიშვილის კბილაა, 2002 წლის დრაფტზე ცქიტიშვილი მე-5 ნომრად აიყვანა „დენვერმა“, ნენე კი მე-7 ნომერი იყო.

კოტე ყორღია

93-ე ტურ დე ფრანსი. 2006, 1-23 ივლისი

ვიკინგი ველოსიპედზეც ვიკინგია

ეს ძველი ტრადიციაა, „ტურ დე ფრანსი“ მეზობელ ქვეყნებში შეივლის ხოლმე და გამონაკლისი, არც წლევანდელი, რიგით 93-ე „ტურია“ — უკვე მეორე ეტაპზე ველოქარავანმა ლუქსემბურგის საზღვარი გადაკვეთა და სტრასბურში დაწყებული 228,5 კილომეტრიანი რბოლა ეშ სურ ალზეში დაასრულა. აქვე ვიტყვით, რომ ლუქსემბურგის შემდეგ პელეტონი ბელგიასაც ესტუმრება და მერეღა დაბრუნდება მშობლიურ საფრანგეთში. მანამდე კი ლიდერის ყვითელი მაისურა ისევ ნორვეგიელმა ტორ ჰუსჰოვდმა მოირგო, ვინც ნამდვილად ყველაზე გამორჩეული ფიგურაა საწყის ეტაპებზე.

ჰუსჰოვდმა ყვითელი მაისურა პროლოგის მოგების შემდეგ ჩაიცვა და ალბათ, პირველი ეტაპის შემდეგაც შეინარჩუნებდა, რომ არა მავანი დამთხვეული ქომაგი, რომელმაც ზედ ეტაპის ფინიშზე, სტრასბურის ქუჩებში, სუპერრბოლების აუცილებელი ატრიბუტი, დიდი მწვანე „ხელი“ გაჰკრა ნორვეგიელს და ველოსიპედისტი იღბლად გადაურჩა უმძიმეს ტრავმას.

ტრავმას კი გადაურჩა, მაგრამ ჭრილობა მიიღო, ნაკერებიც დაადეს და ძნელი წარმოსადგენი იყო, ჰუსჰოვდი კვლავაც მოწინავეთა შორის თუ იქნებოდა, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ტორის ძარღვებში ვიკინგთა სისხლი ჩქეფს და თავზეხელაღებული ზღვაოსნებისა და მეომრების შთამომავალმა, მართლაც რომ ვიკინგური სიმამაცით იბრძოლა სტრასბურიდან ეშ სურ ალზემდე გაჭიმულ გზაზე — თავისი აქტიურობით საშუალედო ფინიშებზე პრემიალური ქულები მოიპოვა და, შესაბამისად, წამები ჩამოიკლო, ფინიშსაც მესამემ უწია სპრინტის ავსტრალიელი დიდოსტატების რობი მაკივენისა და ბელგიელი ტომ ბოონენის შემდეგ და შედეგად, „კრედიტ აგრიკოლის“ მრბოლმა ამერიკელი ჯორჯ ჰინკეპისგან უკანვე დაიბრუნა ესოდენ სასურველი ყვითელი მაისურა.

ტორ ჰუსჰოვდმა ყვითელი მაისურა დაიბრუნა

AFP

ეტაპი კი მართლაც საინტერესო გამოვიდა. თავიდან ესპანელები, „ეუსკალტელის“ აიტორ ერნანდესი და „სონი დიუვალის“ დავიდ დე ლა ფუენტე გაიჭრნენ წინ და, უკვე 30-ე კილომეტრისთვის 11 წუთსა და 40 წამს უგებდნენ პელეტონს. ეს, მართლაც ნამეტანი იყო და ველოქარავანი ამოძრავდა. სხვაობამ ნელ-ნელა კლება დაიწყო და თანაც, ფინიშამდე 50 კილომეტრით ადრე, მეოთხე კატეგორიის სირთულის მთაზე ერნანდესს ძალა გამოელია და დე ლა ფუენტე მარტო დარჩა. მერე პელეტონმა ისიც ჩაყლაპა და წინ ჰუსჰოვდი და ბოონენი გაიჭრნენ. ბოლომდე გაქცევა მაინც არ გამოვიდა და ეშ სურ ალზეს ქუჩებში ჯგროდ შეჭრილმა მრბოლებმა უკეთესი საფინიშო პოზიციისთვის დაიწყეს ბრძოლა. ამ ბრძოლაში ყველაზე უკეთ ბელგიური „ლოტოს“ წევრებმა ივარგეს და თავიანთ ლიდერს, რობი მაკივენს გზა გაუკაფეს. 34 წლის ოზმაც მშვენივრად ისარგებლა თანაგუნდელთა მხარდაჭერით და კარიერაში მეცხრედ მოიგო „ტურის“ ეტაპი. ბოონენი მეორე იყო, ჰუსჰოვდი მესამე და ამათ უკან დარჩა სპრინტის კიდევ ერთი დიდოსტატი, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი, ესპანელი ოსკარ ფრეირე.

შედეგად, საშუალედო ფინიშებზე მოპოვებული და მესამე ადგილისთვის კუთვნილი საბონუსო წამების წყალობით ჰუსჰოვდმა ლიდერობა დაიბრუნა და ფინიშის შემდეგ ყვითელი მაისურა რომ მოირგო, გახარებულმა განაცხადა, შევეცდები, ეს მაისურა, რაც შეიძლება დიდხანს მეცვასო.

ყოფილი ლიდერი, ამერიკელი ჰინკეპი კი სამეულშიც აღარ არის. მას ბოონენმა და მაკივენმაც გადაასწრეს. ამ ოთხეულის უკან, მეხუთე პოზიციაზე, ესპანელი ალეხანდრო ვალვერდეა და ალბათ, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი — იან ულრიხის და ივან ბასოს მოკვეთის შემდეგ რბოლის უმთავრეს ფავორიტად ქცეული ბასკი ბარის ეტაპებზეც არავის არაფერს უთმობს და საინტერესოა, მთები რომ დაიწყება, მერე რაღა იქნება.

მეორე ეტაპი. სტრასბური — ეშ სურ ალზე. 228,5 კმ

1. რობი მაკივენი (ავსტრალია, ლოტო)	5 სთ. 36 წთ. 14 წმ.
2. ტომ ბოონენი (ბელგია, ქვიკ სტეპი)	
3. ტორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლი)	
4. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, რაბობანკი)	
5. დანიელე ბენატი (იტალია, ლამპრე)	ყველას იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1. ტორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლი)	9 სთ. 54 წთ. 19 წმ.
2. ტომ ბოონენი (ბელგია, ქვიკ სტეპი)	+5 წმ.
3. რობი მაკივენი (ავსტრალია, ლოტო)	+8 წმ.
4. ჯორჯ ჰინკეპი (აშშ, დისქოვერი)	+10 წმ.
5. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, ილერს ბალეარსი)	+16 წმ.

ქარავანი კი მიდის...

AFP

ᲣᲘᲛᲑᲚᲓᲝᲜᲘ 2006. ᲑᲐᲚᲐᲮᲘ. ᲡᲐᲞᲠᲘᲖᲝ 10 378 710 £

ᲙᲘᲛ-ᲟᲣᲡᲢᲘᲜᲘᲐᲜᲘ: ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲚᲐᲑᲐᲫᲔᲛ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲓᲐᲜ ᲜᲐᲓᲐᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲚᲘᲛᲔᲜᲢᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲝᲚᲐ

ᲑᲔᲚᲒᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲠᲩᲔᲕᲐ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ: ᲟᲣᲡᲢᲘᲜ ᲔᲜᲔᲜ-ᲐᲠᲓᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲙᲘᲛ ᲙᲚᲐᲘᲡᲢᲔᲠᲡᲘ

AFP ლონდონიდან

ᲒᲣᲨᲘᲜ: ᲝᲠᲘ ᲠᲣᲡᲘᲡ, ᲨᲐᲠᲐᲐᲞᲝᲕᲐ-ᲓᲔᲛᲔᲜᲢᲘᲔᲕᲐᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲛᲐᲕᲜᲘᲡ ᲨᲝᲨᲕᲔᲚᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲠᲔᲣᲚᲛᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲣᲗᲘᲗ ᲨᲔᲬᲧᲕᲘᲢᲐ

4 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲛᲐᲠᲘᲐ ᲨᲐᲠᲐᲞᲝᲕᲐ (4, რუსეთი) — ᲔᲚᲔᲜᲐ ᲓᲔᲛᲔᲜᲢᲘᲔᲕᲐ (7, რუსეთი) 6:1 6:4; **ᲟᲣᲡᲢᲘᲜ ᲔᲜᲔᲜ-ᲐᲠᲓᲔᲜᲘ** (3, ᲑᲔᲚᲒᲘᲐ) — ᲡᲔᲕᲔᲠᲘᲜ ᲑᲠᲔᲛᲝᲜᲓᲘ (ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ) 6:4 6:4; **ᲙᲘᲛ ᲙᲚᲐᲘᲡᲢᲔᲠᲡᲘ** (2, ᲑᲔᲚᲒᲘᲐ) — ᲜᲐ ᲚᲘ (27, ᲩᲘᲜᲔᲗᲘ) 6:4 7:5; **ᲐᲜᲔᲚᲘ ᲛᲝᲠᲔᲡᲛᲝ** (1, ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ) — ᲐᲜᲐᲡᲢᲐᲡᲘᲐ ᲛᲘᲡᲙᲘᲜᲐ (9, რუსეთი) 6:1 3:6 6:3

ᲙᲐᲪᲔᲑᲘ. ᲬᲧᲕᲘᲚᲔᲑᲘ

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲬᲠᲔ

ᲞᲝᲚ ᲰᲔᲜᲚᲘ (ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ)/**ᲙᲔᲕᲘᲜ ᲣᲚᲘᲔ** (ᲖᲘᲛᲑᲐᲑᲕᲔ) — ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲚᲐᲑᲐᲫᲔ (ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ)/**ᲓᲣᲨᲐᲜ ᲕᲔᲛᲘᲩᲘ** (ᲡᲔᲠᲑᲔᲗᲘ) 6:3 6:7 6:3 6:7 9:7

ᲬᲐᲠᲣᲛᲐᲢᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲪᲐᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲛᲝᲓᲘᲡ ᲮᲝᲚᲛᲔ, ᲗᲣ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ, ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲛᲗᲔᲚ ᲡᲔᲠᲘᲐᲓ ᲘᲥᲪᲔᲡ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲮᲐᲜᲡ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲡ. თითქმის ეს დაემართათ ქართველებს უიმბლდონზე, როცა ირაკლი ლაბაძის საერთეულო წაგებას წყვილებში მარცხი და ანა ტატიშვილის გამოვარდნაც მოჰყვა. ნორჩ ქართველს კი არ გაუმართლა, რადგანაც თამაშის დროს ტრავმა მიიღო და კორტზე დარჩენა ვეღარ მოახერხა. თუმც სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ დროისთვის ანას ავსტრიელ ნიკოლა ჰოფმანოვასთან სეტიც წაეგო (4:6) და მეორე პარტიასაც აგებდა (1:3).

სანამ ქალთა მეოთხედფინალებზე გადავალთ, ლაბაძის გუშინდელ მატჩზეც ვთქვათ ერთ-ორი სიტყვა. მით უმეტეს, რომ ჩოგბურთში წარმატებებით განებივრებულნი ნამდვილად არ ვართ, ხოლო ირაკლის მიერ წლეულს უიმბლდონზე ნაჩვენები თამაში თუ შედეგი უდავოდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს — მეოთხე წრეში გასვლა და იქ მსოფლიოს ჩოგბურთის ერთ-ერთ უკაშკაშეს ვარსკვლავთან ტოლსწორად თამაში ხუმრობა სულაც არ არის.

სხვათა შორის, ნამატჩევს თვითონ რაფაელ ნადალიც აღნიშნავდა ჩატარებული შეხვედრის სირთულეს. ესპანელი ჯადოხეჭის მატჩის შემდგომი კომენტარი უინტერესო არ უნდა იყოს:

„ძალიან რთული მატჩი იყო — ის მართლაც კარგად აწვდის, თან დღეს ყველა ბურთზე ბოლომდე იბრძოდა და ამით საკმაოდ გამაწვალა კიდეც. თანაც ის (ლაბაძე) ბევრს ოხუნჯობდა კორტზე და მსაჯებსაც ეკამათებოდა, რამაც კინაღამ კონცენტრაცია დამაკარგვინა, თუმც შევძელი ბოლომდე მობილიზება და მშვენივრად ვითამაშე. არც ველოდი, ბალახზე ამას თუ შევძლებდი. ამაზე კარგად თამაში თუ შეიძლება, ვერ წარმომიდგენია“ — ალბათ დაგვეთანხმებით, რომ ნადალისგან ასეთი კომენტარი ერთგვარი კომპლიმენტიცაა ლაბაძის მიმართ.

თუმც დროა, გუშინდელ მოვლენებს დავუბრუნდეთ — სხვა თუ არაფერი ქალებმა ნახევარფინალები დააკომპლექტეს.

ისე, წლეულს უცნაური რამეები ხდება — „როლან გაროსზე“ კაცთა ნახევარფინალში პირველი ოთხი განთესილი გავიდა. აგერ უიმბლდონზე კი ეს ქალებმა გაიმეორეს, რაც ძალიან იშვიათად მომხდარა.

შედგება ბევრისთვის სანატრელი და საოცნებო ბელგიური დუელი. ბენილუქსური გარჩევები ყოველთვის საინტერესო საცქერი იყო, მაგრამ წლეულს ენენ-კლაისტერსის დაპირისპირებამ განსაკუთრებული ხასიათი შეიძინა. ეს კი იმიტომ, რომ ამ სეზონში ამ მატჩების შედეგებზე ძალიან ბევრი დევს ხოლმე სასწორზე — წინა დუელი „როლან გაროსის“ ნახევარფინალში ვიხილეთ, ახლა კი ისინი უიმბლოდნის ფინალის საგზურს შეეცილებიან ერთმანეთს.

მეოთხედფინალებში ბელგიელებმა ცოტა კი ინერვიულეს, მაგრამ ორთავემ საქმე ორ სეტში მოაგვარა. განსაკუთრებით კლაისტერსს გაუჭირდა, როცა ჩინური სენსაცია ნა ლის მეორე სეტში 5:2 მიჰყავდა, მაგრამ ფუმფულა ბელგიელმა აღარ ინდომა კორტზე დიდხანს დარჩენა და ზედიზედ 5 გეიმი აიღო.

შეიძლებოდა, მეორე ნახევარფინალი რუსული გამომდგარიყო, მაგრამ ამელი მორესმომ არ დაანება ანასტასია მისკინას მარია შარაპოვასთვის ოპონირების გაწევა. ფრანგი თავის მესამე უიმბლოდნურ ნახევარფინალს ითამაშებს და ეცდება, პირველად მიაღწიოს გადამწყვეტ მატჩამდე.

აი, მაშამ კი ყველაზე იოლად დაძლია მეოთხედფინალის ბარიერი, დაამარცხა რა თანამემამული ელენა დემენტიევა. ამ უკანასკნელის მთავარი პრობლემა კვლავაც მოწოდება იყო. მართალია, ლენამ თავისთვის უჩვეულოდ ცოტა, მხოლოდ 6 ორმაგი შეცდომა დაუშვა, მაგრამ, სამაგიეროდ, იმდენად ნელა აწოდებდა, რომ შარაპოვას შეტევის მშვენიერ საშუალებას აძლევდა. ჰოდა, მარიაც არ ჩაითვლებოდა ქალთა ჩოგბურთის ერთ-ერთ ფლაგმანად, ეს შანსი რომ არ გამოეყენებინა.

ᲙᲐᲮᲐ ᲚᲝᲛᲐᲫᲕᲘᲚᲘ

ᲠᲑᲝᲚᲐ ᲘᲧᲝ ᲥᲐᲠᲘᲐᲜᲘ

ᲐᲠᲐᲑᲔᲠᲫᲜᲣᲚᲐᲓ უკმურ, ქარიან ამინდში და თითქმის ცარიელი ტრიბუნების წინ ჩატარდა ათენის სუპერ გრან პრი, ბერძნებმა „ციკლიტირია 2006“ რომ შეარქვეს. ამ ქარის გადამკიდე ტურნირმა რაგინდარა მსოფლიოს რეკორდის გარეშე ჩაირბინა, თუმც სეზონის საუკეთესო დრო კი ბარე ექვსი დაფიქსირდა და ერთის ავტორი კენიაში დაბადებული და ფეხაჩქარებული, მერე კი ნავთობზე მცურავ ყატარში გადასახლებული საიფ სააედ შაჰინია.

ეს შაჰინი ჯერ კიდევ ათენში ჩასვლამდე იცემდა გულში მჯიღს, წინაღობებით დამძიმებულ 3000 მეტრს (სტიპლჩეიზი) ისე გავირბენ, ჩემივე მსოფლიოს რეკორდს არაერთი წამით გავაუმჯობესებო, მაგრამღა იქ ჩასულს ქარი და ცუდი ტროსი რომ დახვდა, ასეთი განცხადება აღარ გაუკეთებია. ისე კი, მაინც ყოჩაღად ირბინა და იმ 3000 მეტრს 7 წუთსა და 56.32 წამში შემოურბინა, რაც სეზონის საუკეთესო და ყველა დროის მე-6 შედეგია. მეორე ადგილი შეხვდა მსოფლიოს და ოლიმპიადის ყოფილ ჩემპიონს, კენიელ რუბენ კოსგეის, რომელიც შაჰინს ბარე 13 და მეტი წამით ჩამორჩა. შაჰინის მიერ ადრე დამყარებული მსოფლიოს რეკორდი კი 7 წუთი და 53,63 წამია და ყატარელი ათენში ჩაფრენამდე ამბობდა, მსოფლიოს საუკეთესო შედეგს 7 წუთსა და 50 წამს ჩამოვაცილებო. ნარბოლევს კი: „ძნელი რბოლა იყო, ცუდად დავიწყე, მერე კი ჩავჯექი ჩემს რიტმში, მაგრამ პირქარმა ძალიან წინაც აღარ გამიშვა.“

კენია კი მთლად ხელცარიელი მაინც არ დარჩა — კიპჩირჩირ კომენმა 1500 მეტრს 3 წუთი და 30,27 წამი მოანდომა და სეზონის რეკორდიც მიიწერა. მის მდევართაგან კი ყველაზე მეტად იყოჩაღა ჭერქეეშა მსოფლიოს ჩემპიონატის უკრაინელმა პირველოსანმა ივან ჰეშკომ, რომელიც წამნახევრით ჩამორჩა კენიელს.

1500 მეტრზე ქალებშიც სეზონის რეკორდი დაფიქსირდა — რუსმა ელენა სობოლევამ 1500 მეტრი 3 წუთსა და 58,28 წამში დაფარა და წლეულს პირველი გახდა, ვინც ამ დისტანციას 4 წუთზე ნაკლები დრო მოანდომა.

800 მეტრზე კაცთა გარბენაშიც რუსმა იმარჯვა — ოლიმპიურმა ჩემპიონმა იური ბორზაკოვსკიმ 2006 წლის ახალი რეკორდი დაადგინა — წუთი და 43,42 წამი.

ისეც ნუ იფიქრებთ, რომ ათენში მხოლოდ რუსები და კენიელები დარბოდნენ. საბერძნეთის დედაქალაქს სახელიანი სხვაც არაერთი ჩავიდა — პანამელმა სიგრძეზე მხტომელმა ირვინგ სალადინომაც სეზონის პირველი შედეგი და ზედაც ათენური პირველობა გაიხერხა — 3,3 მეტრ/წამ ქარში 8,65 მეტრზე ისკუპა და 35 სანტიმეტრი მოუგო ამერიკელ ყველაფრის ჩემპიონ დუაიტ ფილიპსს.

ᲙᲝᲢᲔ ᲧᲝᲠᲛᲘᲐ



ᲡᲐᲘᲤ ᲡᲐᲐᲔᲓ ᲨᲐᲰᲘᲜᲛᲐ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲐᲛᲧᲐᲠᲐ

ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ
ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ 1990 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲞᲐᲠᲐᲡ�კᲔᲕᲘ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲤᲝᲪᲮᲕᲔᲠᲘᲐ
ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲝᲥᲠᲝᲛᲭᲔᲓᲚᲘᲫᲔ
ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲘᲒᲠᲘᲐᲣᲚᲘ
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲙᲐᲮᲐ ᲨᲐᲚᲐᲛᲑᲔᲠᲘᲫᲔ
ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲒᲣᲑᲔᲚᲐᲫᲔ
ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲔᲯᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲤᲔᲯᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ᲗᲐᲣᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲤᲔᲯᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲑᲔᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ᲤᲝᲢᲝᲠᲔᲞᲝᲠᲢᲝᲠᲔᲑᲘ: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ: 38-11-14, 877 54 55 00

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ 42, II ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ, IV ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ.
ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — 79, ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲧᲣᲗᲘ 208. ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 39 48 29
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ
sarbieli@gol.ge
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ
http://www.sarbieli.com.ge